დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს სკოლა ღონე ქვეყნისა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა ალიბეგაშვილი

წევრები:

გიორგი ნებიერიძე

ნინო შუბლაძე

ეთერ ბოკელავაძე

ნინო ლაცაბიძე

მაკა გიორგბერიძე

ავთანდილ ცნობილაძე

მარი ფალელიშვილი

მაია ჩაჩხიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ალექსანდრე ჩახნაშვილი მანანა როსტომაშვილი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს“ სკოლა ღონე ქვეყნისა“**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეძღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	412683546

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქუთაისი
იურიდიული მისამართი	რომეევიძის 2,
ფაქტობრივი მისამართი	რომეევიძის 2,
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://goneqveknisa.edupage.org/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gone.qveynisa@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0431246803

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 24 0000345093 22.03.2024წ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24,25.04.2024წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური	ქართული	იმერეთი, ქ.ქუთაისი. უზნაძის №26 / რომევიჩის ქ. №2
2	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური	ქართული	იმერეთი, ქ.ქუთაისი. უზნაძის №26 / რომევიჩის ქ. №2
3	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური	ქართული	იმერეთი, ქ.ქუთაისი. უზნაძის №26 / რომევიჩის ქ. №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის24 და 25 აპრილს შპს „სკოლა ღონე ქვეყნისა“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

მანანა ალიბეგაშვილი -თავმჯდომარე,გიორგი ნებიერიძე(ზოგადი განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის ექსპერტი)ნინო შუბლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)ეთერ ბოკველაძე

(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტინინო ლაცაბიძეა(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი) მაკა

გიორგბერიძე(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი), ავთანდილ ცნობილაძე(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი), მარი

ფალელმსვილი(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი), მაია ჩაჩხიანი(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,)ალექსანდრე

ჩახნაშვილი(სპორტის საგნობრივი ექსპერტი),მანანა როსტომაშვილი (დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

მანანა როსტომაშვილი.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს სკოლას ინფორმაცია იმ მიგნებებზე,რომელიც ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა.
ვიზიტმა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
120	113	*144*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**▇** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	**▇** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**▇** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**▇ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	**▇** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	**▇** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 144	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შეფასდა დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას დ პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*.სკოლას არ აქვს სამინისტროსთ შეთანხმებული უსაფრთხოებისა დ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვ წესი.შესაბამისობის გეგმის ფარგლებ შესრულების ვადად წარმოდგენილ 2024 წლის 15 სექტემბერი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	შესაბამისობის გეგმის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 25 აპრილს ორ მოწვეულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლას მიეცა რჩევა წარმოდგენილ ხელშეკრულების მე-4 მუხლში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სკოლის სახელთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	მიზანშეწონილია სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.....
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი,საბაზო,საშუალო საფეხური)	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.1.3...	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში და არა კურიკულუმის შემუშავებაში უცხო ენების საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს მშობლის როლი კურიკულუმის შემუშავებისას. სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს თუ რა როლი აქვს მოსწავლეს და როგორ შეუძლია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა.....
ინდიკატორი N 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლას მიეცა რჩევა, საგნობრივი კურუკულუმები გაზიარებული იყოს სკოლის ვებ–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		გვერდზე, რათა სასკოლო საზოგადოების წევრები მეტად ღრმად გაეცნონ სწავლა–სწავლების პროცესებს.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, მუსიკისა და ხელოვნების (მე-3, მე-4, მე-5 კლასებში) წარმოდგენილ კურიკულუმებში სრულად დაიფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნები.
ინდიკატორი 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს მიეცეს ცალკე არსებული დოკუმენტის სახე, სადაც დროში გაიწერება გამოვლენილი რეფლექსიური მიგნებები და მათზე პასუხისმგებელი პირები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები სკოლამ გაიზიარა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.ექსპერთთა მიერ სრულად იქნა გაზიარებული სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი N 3.4.1.1,გადავიდა მეტწილ შესაბისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს „ სკოლა ღონე ქვეყნისა“-ს მისია ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.კერძოდ სკოლა ქმნის გარემოს მოსწავლეთა აზროვნების ფორმირების და მომავალი განვითარების გზის არჩევის ალტერნატივების გააზრებისათვის;ხელს უწყობს მოქალაქეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას; ცოდნის გამოყენების, ახალ პირობებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ადაპტაციის, ავტონომიურად მუშაობის, თვითგანათლების უნარების ჩამოყალიბებას; უვითარებს მოსწავლეს საკუთარი ქვეყნის ისტორიული ღირებულებებისადმი პატივისცემის, პასუხისმგებლობის და ზრუნვის უნარებს; საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ახალი მიდგომების შემუშავებასა და დანერგვას.

ინდიკატორი 1.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სივრცის შექმნაში.კერძოდ სასწავლო პროცესი მხარს უჭერს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ საგანმანათლებლო პროცესის თავსებადობას; ორიენტირებულია მოსწავლის საგნობრივი და ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, რაც წაადგება მას საკუთარი თავის მაქსიმალურ რეალიზებაში. სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, განვითარება და ინოვაციურობა. სკოლაში ხორციელდება აქტივობები რომელიც მიმართულია ახალ პირობებში ადაპტაციის, ავტონომიურად მუშაობისა და თვითგანათლების უნარის ჩამოყალიბებაზე.

ინდიკატორი 1.1.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლამ წარმოადგინა აკადემიური პერსონალის, მოსწავლის და მშობლის ჩართულობის კითხვარი,რომლის ანალიზის შედეგებზე დაყდნობით მოხდა სკოლის ფილოსოფიის განსაზღვრა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განისაზღვრა სკოლის მისია და ხედვა და დაიგეგმა მათი შესაბამისი აქტივობები: მშობლებს უტარდებათ ტრენინგები -განათლების ფსიქოლოგიის საკითხებზე; შპს „პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სკოლის პარტნიორობით ტარდება მასწავლებელთა კონფერენციები, სასწავლო წლის განმავლობაში ყოველი კვირის ბოლოს განიხილება განვლილი სასწავლო პროცესში წამოჭრილი საკითხები და ხდება შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 1.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა სრულად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მხრიდან,რაც დასტურდება ადგილზე ვიზიტისას და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 1.1.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5 სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები,რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. https://goneqveknisa.edupage.org.

ინდიკატორი 1.1.1.5 სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ,კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს ,რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

ინდიკატორი 1.1.1.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.2023-2024 სასწალო წლის სასკოლო სასწავლო გეგამა

2. საჯარო რეესტრი ამონაწერი

3.კითხვარები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია,რომლის მიზანია მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპების,პროცესზე პასუხისმგებელ პირისა და პროცესში ჩართულ მხარეების **განსაზღვრა**, ასევე ადგენს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინდიკატორი 1.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი,ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიასა და ხედვას.კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში.მასში მოცემულია ის მიზნები, რომელთა მიღწევა ეხმარება სკოლას მისიის შესრულებაში. ესენია:საგანმანათლებლო სივრცის თანამედროვედ აღჭურვილი, კომფორტული, ადაპტირებული, სასწავლო/სამეცნიერო და სამუშაო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო პროცესის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა; თანამშრომელთა პროფესიონალური და პიროვნული განვითარება; ინოვაციური, გლობალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის შექმნა; სკოლის კურსდამთავრებულთა წარმატებისა და საქმიანობის კვლევა სკოლის სასწავლო პროცესის მონიტორინგისათვის; პროფესიულ პრაქტიკაზე და კვლევებზე დამყარებული ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდური გზამკვლევის გამოცემა.
თუმცა რჩევის სახით სკოლას განემარტა,რომ სტრატეგიულ გეგმაში ჩამოთვლილი მიზნების უფრო მკაფიო შესაბამისობის განსაზღვრა კიდევ უფრო მკაფიოს და მიზანზე ორიენტირებულს გახდიდა სტრატეგიულ გეგმას.სკოლამ ვიზიტის დასრულებისას გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და გამოაგზავნა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა მცირედი ცვლილებებით.

ინდიკატორი 1.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,რომელიც სრულ შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან და ეფუძნება ყოველი წლის ბოლოს სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების შეფასების ანალიზს.სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სემესტრის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება კორექტირებას. შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის შესაძლებელია სკოლა იყენებდეს დრაივზე ატვირთული სამოქმედო გეგმის ფაილი და საქაღალდე, სადაც გროვდება ანგარიშები და მტკიცებულებები.

ინდიკატორი 1.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შესაბამისი მიზნები,ამოცანები და მათგან გამომდინარე აქტივობები.კერძოდ სტრატეგიული გეგმის ექვსივე მიზანი ჩაშლილია ამოცანებათ,ამ ამოცანების შესაბამის აქტივობებად.მითითებულია ვადები,პასუხისმგებელი პირები და შეფასების ინდიკატორები.

ინდიკატორი 1.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმა
განახლებ.სტრატეგიული გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და ციკლი.პროცესს ანხორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი,რომლის მთავარი მიზანია პროცესის ჰოლისტური მიდგომა.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის: შეფასების მექანიზმები მოიცავს სვოტ ანალიზს/კითხვარებს/ვიზუალურ დათვალიერებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორი 1.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისი მონიტორინგის და ამ შედეგების ანგარიში,რომლის მიზანია სტრატეგიული გეგმის განხორციელების, ასევე მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესება წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სკოლის ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. სკოლის საქმიანობის შეფასება ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:რელევანტურობა,ეფქტურობა,ეფექტიანობა და გავლენა.

ინდიკატორი 1.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-12 თავის შესაბამისად დამტკიცებული ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯაროვდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით / ვებ გვერდზე განთავსებით/, ასევე მოწვეულშეკრებაზე;

ინდიკატორი 1.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის,კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილია **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შეფასების ანგარიში რომლის მიხედვით** დირექცია სტრადეგიული და სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულების, შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან ერთად განსაზღვრავს რეაგირების ღონისძიებებს და იძლევა შესაბამის განკარგულებებს სტრუქტურული ერთეულებზე.

მონიტორინგსა და შეფასებას შედეგად მოხდება:

- სტრატეგიული გეგმის კორექტირება;
- არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა;
- არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა;
- მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული და გენერალურ დირექტორთან შეთნხმებული სტრუქტურა რომელიც მოიცავს დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შინაგანაწესით გათვალისწინებულია სააპელაციო კომიტეტი. დოკუმენტში გაწერილია თითოეული რგოლის უფლება-მოვალეობა.სკოლაში სულ 30 თანამშრომელია მათ შორის 21 მასწავლებელი 5 წრის ხელმძღვანელი. შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს.
სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში; სკოლის წესდებისა და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს.

ინდიკატორი 3.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც პასუხისმგებლობებია გაწერილი. სკოლას ყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, აღნიშნული პირის ოფიციალური თანამდებობრივი წოდებაა ხარისხის მართვისა და საქმისწარმოებელი. აგრეთვე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისადროგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სკოლაში ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით და გარემოს შეფასებით დადგინდა თითოეული სტრუქტურული რგოლი ანხორციელებს თავის უფლება მოვალეობებს,რაც თავის მხრივ აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის სტრუქტურა
2.თანამშრომელთა ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; კერძოდ სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის პერსონალის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

დოკუმენტი,რომლის მიზანია უზრუნველყოს სკოლის პერსონალის მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად, კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.რაც შეეხება მასწავლებლის ხელშეკრულებებს, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა შეუსაბამობა მასწავლებლებთა ხელშეკრულებებში, რომელიც გაფორმებულია არ იყო შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულყოფილად არ ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინსტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს, სკოლამ მყისიერად იმოქმედა და ყველა ხელშეკრულება დაუქვემდებარა მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი 3.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია საჭიროებებზე .კერძოდ ტარდება სასკოლო საზ\ოგადოების გამოკითხვა,რომლის შედეგების გათვალისწინებით მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შედგენის და განხორციელების პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტებით (ოქმები, ბრძანებები) დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დამფუძნებელთან და დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომითი ურთიერთობის პრინციპები; ნებადართული საქმიანობა; სკოლის მართვის სტრუქტურა; უსაფრთხოება და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები; დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი/დრესკოდი; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესები და სკოლიდან გადაყვანის პირობები; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; სამუშაო ადგილი, სამუშაო და დასვენების დრო; სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

პერსონალის/მასწავლებლის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება.

ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის დოკუმენტის მიხედვით შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელის შემადგენლობაც განსაძღვრულია კანონმდებლობით. სკოლის სხვა პერსონალის შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით.

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, ასევე წარმოდგენილია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

4. სკოლაში სულ დასაქმებულია 30 თანამშრომელი, აქედან 21 მასწავლებელია, თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი სტატუსი და გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი მუსიკის მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე.მიუხედავად გამოცხადებული კონკურსისა ვერ მოხეხდა კვალიფიციური კადრის შერჩევა. შესაბამისობის გეგმის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 25 აპრილს ორ მოწვეულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. (დანართი N1,დანართი N2) სკოლას მიეცა რჩევა წარმოდგენილ ხელშეკრულების მე-4 მუხლში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სკოლის სახელთან დაკავშირებით.
სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ზოგადი პროფილის ექიმის (პედიატრი) კვალიფიკაციის მქონე პირი.

სკოლის ექიმი შერჩეულია კანონის სრული დაცვით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი''. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5.როგორც ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადსტურდა სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციის კულტურა ეფუძნება ურთერთთანამშრომლობის, გუნდური მუშაობის, კეთილგანწყობილი, მეგობრული მუშაობის პრინციპებს. სასწავლო წლის ყოველი კვირის პარასკევი დღე ეთმობა განვლილი საგანმანათლებლო პროცესის, მოსწავლეთა შედეგების, საჭიროებების განხილვას, სადაც გუნდურად იგეგმება თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების სრული ინფორმირებულობა. შექმნილია სკოლის საზოგადოებაზე ზრუნვის გარემო. დამრიგებელი მართავს და თანამშრომლობს საკუთარი კლასის ყველა მასწავლებელთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინფორმირებულია ყველა მოსწავლის საჭიროებებზე და საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს დირექციასთან და მშობელთან. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვისა და მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი მასწავლებლებს ესწრება გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები და სტრუქტურული ერთეულები ჩართულები იყვნენ თვითშეფასების პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს,

ინდიკატორი 3.1.2.5. სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლის დოკუმენტაციის გაცნობით და ადგილზე გასაუბრებით დადგინდა,რომ წარმატებული გამოცდილებისა და აღიარების ურთიერთგაზიარების მიზნით სკოლაში ტარდება კონფერენციები, ტრენინგები, მასწავლებლები პრეზენტაციების სახით წარმოადგენენ წარმატებული გამოცდილების თაობაზე საკითხს სასკოლო საზოგადოების წინაშე. სკოლაში აღიარებისა და წახალისების საფუძველია: მოსწავლეთა/მასწავლებელთა ინიციატივები, მოხალისეობა, სკოლის წარმატებაზე ზრუნვა, პროექტის წარმატებით განხორციელება განსაკუთრებული სირთულის ან/ და მნიშვნელობის კომპლექსური სამუშაოს შესრულება, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენა, პასუხისმგებლობის აღებისთვის; ასევე თანამშრომელთა შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, კეთილსინდისიერი სამუშაოს გაწევისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის/მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით.სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა (შესაძლებლობის შემთხვევაში); ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააჩნია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებატა მექანიზმები.კერძოდ,მუდმივად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა კითხვარების საშუალებით,რომელთა ანალიზის შედეგები საფუძვლად უდევს swot ანალიზს.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“რომლის მე-9 მუხლი განსაზღვრავს პროცესების შეფასების მექანიზმებს. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვისა და მონიტორინგის ჯგუფი. აგრეთვე სკოლაში შექმნილია პროექტების მართვის ჯგუფი, რომლის ქვეჯგუფებია: საერთაშორისო პროექტების მართვის ჯგუფი; ბ) საგანმანათლებლო პროცესების კვლევის ჯგუფი; დ) ხარისხის მართვისა და მონიტორინგის ჯგუფი. აქვე განმარტებულია თუ რას მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის წესი: ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასებას; ბ) სასკოლო, წლიური სამოქმედო გეგმის შედგენას; გ) შემოწმების განხორციელებას; დ) დასკვნის შედგენას და უკუკავშირს; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელებას. სკოლის დირქტორთა გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმები. განსაზღვრულია შეფასების მნიშვნელობა, შეფასების გავლენა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასებაში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება საკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლში გაწერილია ის პრინციპები რომლის საფუძველზე ხორციელდება პერსონალის განვითარება.სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია შესაბამისი აქტივობები. სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი - საგანამანთლებლო პროცესი. პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი კეთდება სწავლისა და გაგების, პრაქტიკის კვლევის, თვითგანვითარების პროცესების მხარდაჭერაზე. რაც შეეხება შეფასებას, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის - შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ თითოეულ მათგანს აქვს ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. შეფასება კი ორიენტირებულია სისტემურ, დიფერენცირებულ ანალიზზე.

ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას,რაც დასტურდება დოკუმენტაციის გაცნობით და ადგილზე ვიზიტისას. სკოლაში ფუნქციონირებს კვლევითი ჯგუფი, სადაც მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ფსიქოლოგიის საკითხებზე. ყოველ წელს მონაწილეობას იღებენ „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალურ ინსტიტუტთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებულ და გასვლით კონფერენციებში. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებლის პროფესიული ზრდის ლაბორატორია, სადაც ტარდება ტრენინგები. მასწავლებლები წახალისებულია სამეცნიერო მუშაობისა და აკადემიური ხარისხის მოპოვების, შემოქმედებითი მუშაობის თუ კარიერული ზრდის მმართულებით, მათ აქვთ სასკოლო რესურსების გამოყენების საშუალება.სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგად დგინდება პერსონალის საჭიროებები, რომელთა საფუძველზე მათ უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები.კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ

ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლა თანამშრომელთა გარემოსთან ინტეგრაციას ანხორციელებს დირექტორის მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკის „ დოკუმენტის შესაბამისად.კერძოდ ამ დოკუმენტის მე-17 და მე-18 მუხლების თანახმად, სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებს განხორციელებისათვის დირექტორის ბრძანებით გამოიყოფა პასუხისმგებელი პირი; რომელიც ვალდებულია ახალ თანამშრომელს დაეხმაროს ადაპტაციის ეტაპების განხორციელებაში.ეს ეტაპებია: მოლოდინების გაცნობა,შეხვედრები და ბოლოს ოჯახის წევრობა.

ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინციატივები.პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორი 3.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის მართვის დოკუმენტი

2. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესების მართვა ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად.ამ დოკუმენტის მიზანია სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარება. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება; ბ) სასკოლო, წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი,რომლის საქმიანობა განსაზღვრულია დირექტორის მიერ დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით“,რომლის მე-4 მუხლი განსაზღვრავს სკოლის საქმიანობასტან დაკავშირებულ მმართველობით,ძირითად და დამხმარე პროცესებს.მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; გ) ეროვნული სა საერთაშორისო პროექტების ორგანიზება და მართვა; ხოლო დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კ) კარიერული განვითარება

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის თანამშრომლის.მშობლის,მოსწავლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები დაცულია დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის,პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის“ საფუძველზე.ამ დოკუმენტის პირველი თავი უზრუნველყოფს მოსწავლის და მისი მეურვის უფლებების დაცვას,ხოლო მე-2 თავის მე-4 მუხლი განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების უფლებას.

ინდიკატორი 3.3.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლაში მოსწავლის,პერსონალის,მშობლის კნონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული“ მოსწავლის,პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადაობასთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.
პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კანონიერ უფლებათა დაცვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების გამოკიხვის ფორმები,ამ გამოკითხვის შედეგების ანალიზის მიწოდება და უკუკავშირის გაცემა ხდება მშობლებისთვის როგორც ინდივიდუალური შეხვედრების დროს ისე ანგარიშების ფორმით და ფეისბუქ თუ სხვა საკომუნიკაციო არხებით.როგორც ადგილზე ვიზიტისას და წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას დადგინდა სასწავლო წლის განმავლობაში ყოველ პარასკევს ხდება შეხვედრები სადაც იხილება პრობლემები და გაიცემა უკუკავშირი აკადემიური მიმართლებით. შინაგანაწესი, წესდება, მისია და ხედვა განტავსებულია ვებ გვერდზე. ხელშეკრულებების დადების დროს მშობელი ინფორმიებულია აღნიშნულ რეგულაციების თაობაზე, რასაც ადასტურებს ხელის მოწერით. ყოველ დღე მშობელი დამრიგებლის და ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ინფორმირებულია მოსწავლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, როგორც პირადი საუბრით, ასევე ელექტრონული ჟურნალის დახმარებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სკოლის ფეისბუქ გვერდის და ოფიციალური ვებ.გვერდის (https://goneqveknisa.edupage.org/) გადამოწმებით დადგინდა, რომ აქტიურად იყენებს ინფორმაციის განსათავსებლად,

ინდიკატორი 3.3.2.1. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

2.სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია პედაგოგიური საბჭოს და დისციპლინური კომიტეტის სახით.სკოლაში ფუნქციონირებს მერვე კლასის მოსწავლეების ხელმძღვანელობით რადიო,რომლის საშუალებით იგეგმება და საჯაროვდება სკოლაში მიმდინარე პროცესები. შესვენებაზე აჟღერებენ სხვადასხვა ინფორმაციებს, რაშიც აქტიურად ჩართულები არიან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები (ლექსი, სიმღერა, დაბადების დღეების შესახებ ინფორმაცია და ა.შ) ხდება მოსწავლეების ინიციატივის განხილვა. სკოლაში მოსწავლეების ინიციატივით შეიქმნა შოკოლადის დღე, კულინარიის წლიური კურსი და სხვა. მშობლები მოსწავლეებს აცნობენ საკუთარ პროფესიებს და მართავენ დისკუსიებს სხვადასხვა საკითხებზე. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში (ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება არცერთი სსსმ მოსწავლე) სკოლაში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შევლენ საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ინდიკატორი 3.3.2.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო საზოგადოების გამოკითხვების ფორმები

2.პედსაბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა არ ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. კერძოდ სკოლას შესაბამისი წესი არ აქვს შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია ამ დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით.სკოლის ადმინისტრაციამ მოამზადა აღნიშნული დოკუმენტი და 25 აპრილს გააგზავნა საქართველოს განათლებისმეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში შესათანხმებლად.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმების ვადათ განსაზღვრა 2024 წლის 15 სექტემბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სკოლამ წარმოადგინა შპს ,,სკოლა ღონე ქვეყნისა“-ს საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MIA 2 23 03764930- 21/12/2023)

სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით (შენობის მდგრადობა), დაწესებულებამ მოიპოვა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა N008839823 და N008839723, რომლის თანახმადაც შენობა-ნაგებობა N2 და N03 ტექნიკური მდგრადობა დამაკმაყოფილებელია და ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

დაწესებულებას აქვს მიღებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 477, რომელიც 18-12-2023 წლით თარიღდება.

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი 3.4.1.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

2სკოლას არ ჰყავს მანდატურ,მაგრამ სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა კონტროლდება დამრიგებლებისა და მორიგე მასწავლებლის მეშვეობით.სკოლაში დამონტაჟებულია -18-ვიდეო კამერა,რომელიც სრულად აკონტროლებს სკოლის ტერიტორიას. სკოლამ წარმოადგინა მორიგე მასწავლებლების მორიგეობის გრაფიკი რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

მუდმივად აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიას.ასევე სკოლას გამოყოფილი ჰყავს ვიდეო კამერების უსაფრთხო ფუნქციონირებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორი 3.4.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლას მიუხედავად იმისა,რომ არ ჰყავს მანდატური მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემო უზრუნველყოფილია დამრიგებლების და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ. მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კონფედენციალურია და იტვირთება edupage. ge. მოსწავლეები არ ფლობენ ინფორმაციას სხვა მოსწავლეების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებაზე. საჭიროების შემთვევაში ხდება მშობლებთან/მოსწავლესთან ინდივიდუალური ინტერვიუ. მოსწავლეების ინიციატივით, თვეში ერთხელ , იმართება კრება, სადაც განიხილება კლასის საჭიროებები; სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი, რაც უზრუნველყოფს მართვის ეფექტურობას. სკოლაში მოწყობილია სამეცადინო და სარელაქსაციო კუთხეები. არ ირეკება ტიპიური სკოლის ზარი, ირთვება მელოდია. მოსწავლეები ყოველი გაკვეთილის დასრულების შემდეგ ამბობენ: „გმადლობთ, რომ გვასწავლით“, მასწავლებელი პაუხობს: „გმადლობთ, რომ სწავლობთ“. საკვები მოსწავლეებს მოაქვთ კონტეინერებით. მშობლებს ეძლევა ინსტრუქცია მოსატანი საკვების თაობაზე, რომელიც მიმართულია ჯანსაღ კვებაზე; სკოლის საზოგადოებაში დანერგილია პირადი სივრცის, პიროვნულობის პატივისცემის მაღალი სტანდარტები. დამრიგებელი მშობელთან ურთიერთობის მეშვეობით მუდმივად ინფორმირებულია მოსწავლის საჭიროებაზე და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სკოლა ეხმარება მოსწავლეს საჭიროების დადგენაში და საკითხების გადაწყვეტაში; დიდი ყურადღება ექცევა სხვა სკოლიდან მობილობით გადმოსულ მოსწავლის ადაპტირებას სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორი 3.4.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ადგილზე ვიზიტისას სკოლა ჰიგიენური თვალსაზრისით სრულად მოწესრიგებულად გამოიყურება,რაც დასტურდება ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორი 3.4.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პერსონალურ მონაცემთა დაცვას.კერძოდ სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის „დოკუმენტი,რომლის საფუძველზე მონაცემები მუშავდება როგორც ელექტრონული პლატფორმების, ასევე - ქაღალდურ მატარებლებზეც. პერსონალური მონაცემების დაცვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა, შესაბამისად მონაცემთა დამუშავება უსაფრთხოების სრული დაცვით ,ასევე მოსწავის პირადი ინფორმაცია ინახება უსაფრთხო ადგილას,რომელზეც წვდომა აქვს მხოლოდ უფლებამოსილ პირს.მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კონფედენციალურია და იტვირთება edupage. ge. მოსწავლეები არ ფლობენ ინფორმაციას სხვა მოსწავლეების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებაზე. საჭიროების შემთვევაში ხდება მშობლებთან/მოსწავლესთან ინდივიდუალური ინტერვიუ.

ინდიკატორი 3.4.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლის ხელთ არსებული მონაცემები ინახება დაცულ ადილას რომელზე წვდომაც აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირებს.სკოლის მიერ წარმოდგენილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის „დოკუმენტის მე-8 მუხლი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემტა დაცვის პირობებს.დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე.

ინდიკატორი 3.4.1.6. სტანდარტს შეესაბამება

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას კითხვარებისა და ინტერვიურების ფორმი, ახდენს შედეგების ანალიზს და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.7. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უსაფრთხოების დოკუმენტი

2. პერსონალურ მონაცემტა დაცვის დოკუმენტი

3. სახანძრო უსაფრთხოების დაცვის დოკიმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სკოლა ღონე ქვეყნისა“ მდებარეობს ქ. ქუთაისში, უზნაძის ქ., N26 / როძევიჩის ქ., N 2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად შენობა-ნაგებობა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის №3/164 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებს სამ სართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის (21.05.2021 წლის) ამონაწერის მიხედვით, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

დაზუსტებული ფართობია 2802.00 .კვ.მ არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობა-ნაგებობა N1-N6. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 03.03.26.033.01.504 სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს იჯარით თორმეტი წლის (2018-2030წ) სარგებლობის უფლებით (მესაკუთრე - პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი).სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ხელშეკრულების ცვლილების დოკუმენტი,რომლის საფუძველზე იჯარის ვადა გახანგრძლივდა 2033 წლის სექტემბრამდე. (დანართი N 4)

დღეის მდგომარეობით სკოლაში სწავლობს 113 მოსწავლე,მოთხონა არის 144 მოსწავლეზე. სკოლის შენობაში ფუნქციონირებს 12 საკლასო ოთახი, ქიმიის, ფიზიკის და ისტ-ის ლაბორატორია, ხელოვნების ოთახი, სამასწავლებლო, მენეჯერის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, მოსასვენებელი სივრცე, სამეცადინო ოთახი, სამზარეულო, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები. ყველა აუდიტორია აღჭურვილია ეკრანით. საკლასო ოთახები სრულადაა აღჭურვილი საჭირო რაოდენობის მერხებით, სკამებით, დაფებით და მონიტორებით. ასევე უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით,(12 კომპიუტერი 2 ლეპტოპი) ინტერნეტით. არსებული მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება როგორც არსებულ ისე დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.

ინდიკატორი 3.5.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა ამ ეტაპზე განთავსებულია ორ შენობაში.სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად.

ინდიკატორი 3.5.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო პოზიტიურ,მშვიდ გარემოს.სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს ეტლთ მოსარგებლე,სკოლის ძირითადი შენობის სართულებზე გადადგილებისთვის მოწყობილია პანდუსი,პირველ სართულზე მოთავსებულია ადაპტირებული ტუალეტი.მაგრამ მეორე კორპუსში სადაც განთავსებულია ქიმიის ,ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიები არ არის კიბის პანდუსი,თუმცა სკოლამ განმარტა რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეძლებს პირველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სართულზე შექმნას გარემო რომლითაც ეტლით მოსარგებლე შეძლებს მიიღოს მონაწილეობა აქტივობაში. სკოლის შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და ნებისმიერი ცვლილება პრობლემას წარმოადგენს.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა მეორე კორპუსის კიბებზე მოძრავი პანდუსის დამზადების მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტოები (დანართი N 5)

ინდიკატორი 3.5.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეთტათვის სოციო კულტურულ სივრცეს.სკოლის შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს თავისი უნიკალური და საინტერესო ისტორიით.სკოლის სარდაფში გაკეთებულია მცირე მუზეუმი რომელიც ამ შენობის ისტორიას მიგვითხრიბთ,ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინციატივით თოჯინების თეატრი და რადიო.სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას

ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული ყველა რესურსი:გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ბიბლიოთეკა, დარბაზი, ბუნებრივი გარემო და სხვ.

ისტ-ის მიმართულებით: მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია ინტერნეტით უზრუნველყოფილი 12 კომპიუტერები.

სპორტის გაკვეთილებისთვის სკოლის გარე ტერიტორიაზე,მფლობელთან გაფორმებულია მემორანდუმის ფარგლებში, მოწყობილია სპორტული მოედანი, ხელოვნური საფარით, აგრეთვე სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც უამინდობის დროს გამოყენებული იქნება სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც სრულადაა აღჭურვილი. სადაც განთავსებულია ამწოვი კარადა. ქიმიური ნივთიერებები დაცულია წესების სრული დაცვით.

ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შენობის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.** სკოლის მთელს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ინტერნეტი/WI-FI. როგორც ადმისიტრაციის ისე მასწავლებელთა სამუშაო სივრცე აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერით და ნოუთბუკებით. კლასებში დამაგრებულია კედლის დისპლეი, რაც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში აუდიო და ვიდეო მასალების აქტიურ გამოყენებას. სკოლას აქვს 12 პროექტორი, 3 სკანერი და 3 პრინტერი. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია.(5 პერსონალური კომპიუტერი,10 ნოუთბუქი) ყველა რესურსი უკლებლივ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა რადიო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობით. სკოლაში ზარის ნაცვლად გაკვეთილების მონაცვლეობას არეგულირებს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურად მუსიკით ამცნობს მოსწავლეებს გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების დროს. სკოლას აქვს ვიდეოკამერები და სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით.

ინდიკატორი 3.6.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლამ წარმოადგინასკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“და პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული უფრო ფართო გამოყენების „მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი“რომლის 5 მუხლი განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს. ამ დოკუმენტის მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო=აღმზრდელობითი პროცესების ეფექტურად წარმართვა და როგორც საგნობრივიპროგრამების მიზნების მიღწევა ისე კამჭოლო კომპეტენციების განვიტარება.ამ დოკუმენტის მე-3 მუხლი განსაძღვრავს მატერიალური რესურსების სარგებლობის პრონციპებს:• სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის. • მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა; • ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისთვის;

ინდიკატორი 3.6.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საქმის წარმოაების წესი“ ამ დოკუმენტის მიზანია სკოლაში დოკუმენტბრუნვის სისტემის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამ დოკუმენტის თანახმად საქმის წარმოებას ხელმძღვანელობს ხარისხის მართვისა და საქმისმწარმოებლის მენეჯერი.

ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. . სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, EduPage სკოლის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში სკოლას საშუალება აქვს გამოიყენოს შემდეგი ფუნქციები: ცხრილების ავტომატური გენერატორი; ელექტრონული სწავლების მოდული (პრეზენტაციების, პროექტების, ტესტების შექმნა); ელექტრონული ჟურნალი (ნიშნების, დასწრების, განმავითარებელი შეფასებების დაწერა და დავალებების გაგზავნა); ჩანაცვლებები (გამცდენი მასწავლებლების აღრიცხვა და მათი სხვა მასწავლებლებით ჩანაცვლება ავტომატურად); ვებ-გვერდი; ინტერაქტიული გაკვეთილები (გაკვეთილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

პირდაპირ რეჟიმში ჩატარების ფუნქცია); მობილური აპლიკაცია; Agenda Online - ბაზებზე სამუშაო სისტემა; თემატურ-კალენდარული გეგმების მოდული;სკოლას ვიზიტის დროს არ გააჩდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა,ექსპერტების რჩევის შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება SCHOOL MS (სქულმენეჯმენტსისტემი) რის საფუძველზე სკოლაში იფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: gone.qveynisa@gmail.com- სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა 2024 წლის 25 აპრილს სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადასვლის ხელშეკრულება.(დანართი N 6)

ინდიკატორი 3.6.2.2.. სტანდარტს შეესაბამება

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.** მასში აისახება სკოლის შესახებ ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მოსწავლეების და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის პერსონალური მონაცემები. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები იყენებენ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას თავის პროფესიულ საქმიანობაში. მართვის სისტემის ადმინისტრირების გვერდზე წვდომის უფლება აქვს: სკოლის გენერალურ დირექტორს, სკოლის დირექტორს და ხარისხის მართვისა და საქმის წარმოების მენეჯერს, რომელსაც მინიჭებული აქვს გვერდის ადმინისტრირება, მონაცემთა ხედვა და ინფორმაციის რედაქტირების უფლება.

ინდიკატორი 3.6.2.3.. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს.სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საქმის წარმოების წესი“რომლის მე-2 მუხლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

განსაზღვრავს დაწესებულებაში არსებული დოკუმენტების შესრულების ვადას 1-დან 3 სამუშაოდღემდე, თუ დოკუმენტი მოითხოვს დასმული საკითხის დამატებით შესწავლას - 10 სამუშაოდღემდე. დოკუმენტების შესრულების ვადა შესაძლებელია განისაზღვროს ინდივიდუალურად, აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში თუმცა ის არუნდა აღემატებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ვადას.

ინდიკატორი 3.6.2.4.. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს „სკოლა ღონე ქვეყნისა“-ს სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://goneqveknisa.edupage.org/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის მუშაობის დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1.. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას.კერძოდ სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული და დამფუძნებელტან შეტანხმებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების“დოკუმენტი რომლის მე-12 მუხლი განსაზღვრავს საინფორმაციო მენეჯერის ფუნქციებს.

ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ადგილზე ვიზიტისას და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა,რომ სკოლა საინფორმაციო არხებიდან მიღებულ უკუკავშირს იყენებსხარისხის ამაღელებისა და მუდმივი განახლებისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.3.. სტანდარტს შეესაბამება

4.**სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი**https://goneqveknisa.edupage.org/ **რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორი 3.6.3.4.. სტანდარტს შეესაბამება

5. **ვებ გვერდიშესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ:** სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, შინაგანაწესი; პროგრამ (ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასკოლო სასწავლო გეგმა. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5.. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

*სკოლის ვებ გვერდი*https://goneqveknisa.edupage.org/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ყოველი წლის ბოლოს წარადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს სადაც გათვალიწინებულია ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასება, ანალიზი და შედეგად შემდგომი აქტივობების დაგეგმვა. .სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით და წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: 2023 წლის ფინანსური ანგარიში; 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი და ფინანსური რესურსების მართვის დოკუმენტი. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორი 3.7.1.1.. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლამ წარმოადგინა ფინანსური რესურსების მართვის დოკუმენტი,რომელიც განსაზღვრავს. სავარაუდო შემოსავლებს; მომდევნო წლის პრიორიტეტებს; სავარაუდო ხარჯებს; კალენდარს.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მონიტორინგის ფორმები და შეფასების ინდიკატორები.სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის დოკუმენტი, გულისხმობს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ყველა რესურსის ეფექტიან გამოყენებას. ფინანსების სწორი განკარგვა საშუალებას აძლევს სკოლას პროცესი განხორციელდეს ეფექტურად.

ინდიკატორი 3.7.1.2.. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ფინანსური მართვის დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

1.სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების განმსაზღვრელი დოკუმენტი,რომლის მიზანია მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მათი ღირსების დაცვა.ამ მიზნის მისაღწევ ამოცანებს კი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით საჭირო ღონისძიებების დასახვა წარმოადგენს. სკოლა ამ დოკუმენტის საფუძველზე ქმნის მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისიას ,რომელიც შეისწავლის ფაქტებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს რეაგირებას.

ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „მოსწავლეთა უფლებეის დაცვის შესახებ“მე-3 თავი უზრუნველყოფს სასკოლო რეგულირების გამჭირვალობას. ამ დოკუმენტის მიხედვით მოსწავლის მშობლის უფლებაა ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რათა უზრუნველყოს ბავშვის უფლებების დაცვა/რეალიზება. . მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი უფლებამოსილია სკოლის ადმინისტრაციას მოსთხოვოს და ყურადღებით გაეცნოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტს და მის საფუძველზე შექმნილ მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის ფუნქციამოვალეობებს, რომელიც შექმნილია სწორედ სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა/რეალიზაციის მიზნით - დაიცვას დოკუმენტით გათვალისწინებული წესი, პირობები, გასაჩივრების პროცედურები და გასაჩივრების ეტაპები.

ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3..სკოლასა და მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება,ამ ხელშეკრულების ნაწილია საინფორმაციო ფურცელი,რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სკოლის მოთხოვნების და ვალდებულებები და მშობლის თანხმობა საჭიროების შემთხვევაში გაიცეს საჯარო ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მოსწავლეთა უფლებების დაცვის დოკუმენტი
2. ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული და დამფუძნებელთან შეთანხმებული „მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“.რომლის მიზანია უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინფორმაციის/დოკუმენტის ხელმისაწვდომობა და ღიაობა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.

ინდიკატორი 4.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ დადგინდა,რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.მობილობის შემთხვევაში მოსწავლემ უნდა გაიაროს გასაუბრება. გასაუბრების ფორმატის დადგენა ხდება სწავლების საფეხურის შესაბამისად; მშობელი ვალდებულია სკოლის სახელზე დაწეროს განცხადება შვილის მობილობის თაობაზე; მობილობის შემთხვევაში მშობელი ვალდებულია განცხადების დაწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში სკოლასთან გააფორმოს ხელშეკრულება,რომელიც მოიცავს ინფორმაციას ორმხრივი ვალდებულების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი დროულად არ შეასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს მოსწავლის მობილობის წესებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს სკოლაში საჭირო პროცედურების განხორციელებას, ხელშეკრულება იქნება ანულირებული; დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა ხდება გასაუბრებით. გასაუბრების ფორმატს განსაზღვრავს დამფუძნებელი, დირექციასთან შეთანხმებით. დირექტორი იანვარში გამოსცემს ბრძანებას, მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის შესახებ; მოსწავლის/მშობლის/მეურვის მიერ სასწავლო პროცესის უგულველყოფის შემთხვევაში, რაც გამოიხატება სკოლის საგანმანათლებლო და სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის არასრულფასოვნად ჩართვაში, სკოლა უფლებამოსილია მშობელს/მეურვეს შეუწყვიტოს სასწვლო პროცესთან დაკავშირებული ხელშეკრულება; მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის წესი რეგულირდება კანონმდებლობით.

ინდიკატორი 4.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

3..სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურეობის სახეები,პროგრამები და საფასური საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე,სკოლის საინფორმაციო დაფაზე.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის ან მობილობის შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გადაეცემა საინფორმაციო ფურცელი,რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას სკოლის შესახებ.

ინდიკატორი 4.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული,შესაბამისობაშია სკოლის შინაგანაწესთან და სკოლაში მოქმედ ყველა კანონთან თუ წესდებასთან.

ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მოსწავლის ჩარიცხვის წესი

2.არასავლდებულო მომსახურება

3.მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი“ამ დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს პირველკლასელთა,ასევ მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას,წესი შეიძლება გამოიყენოს სკოლამ ენობრივი ბარიერის ან სხვა რაიმე სახის პრობლემის არსებობისას.

ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

2.როგორც ადგილზე სასკოლო საზოგადოების გამოკითხვისას და ასევე დოკუმენმტების გაცნობისას დადგინდა, დოკუმენტში ცალკე მუხლებად გაწერილია პირველკლასელთა.სსსმ მოსწავლეთა და გადმოსულ მოსწავლეთა შემთხვევაში რა აქტივობები ხორციელდება ადაპტაციის პროცესში. მოსწავლის ადაპტაცია იწყება პირვლივე წუთიდან.მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისთვის საჭიროა ინფორმაცია ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური, უნარების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების ცოდნა. სკოლამ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით. ასევ ცალკე მუხლშია განხილული როგორც წარმატებული ადაპტაციის ნიშნები ისე წარუმატებელი პროცესის და რა აქტივობები უნდა განხორციელდეს ამ უკანასკნელ შემთხვევაში.

ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ადგილზე ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ სკოლაში აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება,რომელიც მოსწავლეებს მიეწოდებათ სკოლაში მოქმედი ელექტრონული ჟურნალის საშუალებით,ასევე მუდმივად ტარდება საკლასო შეკრებები სადაც განიხილება კონკრეტული საგნის სწავლებისას წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრის გზები. მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ სკოლის რესურსით.

ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4..სკოლაში მოსწავლეთა უფლებების რეალიზებისთვის ფუნქციონირებს შინაგანაწესი, „მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“,„მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი“ „დისციპლინური წარმოების წესი.ყველა ამ დოკუმენტის მიხედვით გაწერილი უფლებები სრულად არის დაცული სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5. ადგილზე ვიზიტისას და სასკოლო საზოგადოებასტან გასაუბრებისას დადგინდა ,რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;აღნიშნილი იგრძნობა სკოლაში შესვლის პირველივე წუთებიდან.კერძოდ მოსწავლეთა ინციატივით სკოლაში ფუნქციონირებს რადიო და თოჯინების თეატრი.დამატებითი აქტივობების სახით ფუნქციონირებს ჭადრაკი, პროგრამირება, სისტემური ინჟინერია, აზროვნების გაკვეთილი, საგნობრივი კლუბები, სიმღერის ანსამბლი, ცეკვის გაკვეთილი, რადიო, კულინარია, ინტელექტუალური ვიქტორინები, ბლიც-ტურნირი, სამუზეუმო საქმე.

ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6.როგორც ადგილზე ვიზიტისას,სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად და დოკუმენტაციის გაცნობისას დადგინდა სკოლა მუდმივად ატარებს მოსწავლეების და მშობლების როგორც ანკეტურ ,ისე ზეპირ გამოკითხვას,რომელთა შედეგების გათვალისწინებულია მომავალ საქმიანობის დაგეგმვისას.

ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასწავლო გარემოსტან ადაპტაციის წესი
2. არასავალდებულო მომსახურება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას მემურანდუმი აქვს გაფორმებული (Madera Georgia, DMO იმერეთი, ტენე, ქუთნავთობპროდუქტი, ქუთაისის აეროპორტი და სხვა),სხვადასხვა ორგანიზაციიასთან.მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეებს ეს ორგანიზაციები აწვდიან ინფორმაციას თავიანთი პროფესიების შესახებ,გეგმავენ და ანხორციელებენ საერთო პროექტებს,ხვდებიან წარმატებულ ადამიანებს და უზიარებნ ინფორმაციას.ასევე საკუთარი პროფესიის შესახებ ინფორმაციის გაზიარების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები მშობლები.

ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლაში ფუნქციონირებს პროექტების მართვის ჯგუფი,პროექტების მართვის ჯგუფის მიერ წლის დასასრულს მოსწავლეების მშობლებს ეგზავნებათ ინფორმაციული წერილი ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. წლის დასაწყისში დირექცია და პროექტების მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად შეხვდნენ მშობლებს, სადაც განიხილეს მოსწავლეთა ინდივიუალური მიზნები და დაისახა აქტივობები. მოსწავლეები ხვდებიან წარმატებულ ადამიანებს და მათ უზიარებენ თავიანთი წარმატების გამოცდილებას.

ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

3.სკოლა მუდმივად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას (ინტერვიურება,ანკეტური გამოკითხავ).გამოკითხვის შედეგების გაანალიზება საფუძვლად ედება მომავალი წლის სამოქმედო გეგმას.

ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლებთან შეხვედრები
2. მემორანდუმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. მაგრამ სკოლამ წარმოადგინა სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულირების დოკუმენტი.ამ დოკუმენტში გაწერილია ინკლუზიური გარემოს პირობები და ამ პირობების შექმნის მექანიზმები,განმართებულია რა არის ინდივიდულაური გეგმა ,ვის მიერ და რა სახით ხდება ამ გეგმის შემუშავება და შედეგების გაანალიზება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა იწყება ინფორმაციის მოგროვებით ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.• მას შემდეგ, რაც საგნის მასწავლებელი საკუთარ საგანში მოსწავლის და ძლიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

მხარეებსა და საჭიროებებს გამოყოფს, მასწავლებელი შეადგენს ინდივიდუალურ მიზნებს მოსწავლისათვის იმ საგანში, რომელსაც ის ასწავლის. მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ მიზნებსა და აქტივობებს, რათა შესაბამისად იქნეს დაკმაყოფილებული სსსმ მოსწავლის სასწავლო მოთხოვნები და მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში.ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა სასკოლო გარემოსტან ადაპტაციის დოკუმენტის მე-6 განსაზღვრავს სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის პირობებს.

ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულირების დოკუმენტის გაცნობით და ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა,რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე მაგრამ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად სკოლამ საჭიროების შემთხვევაში უნდა განსაზღვროს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი ,რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფში ერთიანდებიან მშობელი/მშობლები, საგნის მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, ლოგოპედი ან სპეციალური მასწავლებელი, სოციალური მუშაკი,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა იწყება ინფორმაციის მოგროვებით ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.

ინდიკატორი 4.2.3.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

1. ადაპტაციის წესი

2.სსსმ მოსწავლი რეგულაციის წესი

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ადგილზე გასაუბრებისას და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „არასავალდებული მომსახურების წესი“=ის გაცნობით დასტურდება,რომ ნებისმიერ მოსწავლეს რომელიც განცხადებით მიმართავს დირექციას შეუძლია სკოლაში დაჩეს 6 საათამდე და ისარგებლოს დამრიგებლის მეთვალყურეობით ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე.რაც შეეხება კვებას მოსწავლეს ამ წესის მიხედვით საკვები მოაქვს სკოლაში კონტეინერით და სადილისთვის გამოყოფილ სივრცეში მიირთმევს.

ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

2.სკოლის მიერ წარმოდგენილია „არასავა;დებულო მომსახურეობის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ და არეგულირებს არასავალდებული ხასიათი მომსახურების პროცედურებს.კერძოდ სურვილის შემთხვევაში მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით (ნიმუში ამ დოკუმენტის ნაწილია) მიმართავს დირექციას და დამატებითი ანაზრაურების გარეშე სარგებლობს შესაბამისი მომსახურეობით.

ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტს შეესაბამება

3. არასავალდებული ხასიათის მომსახურება,რომელიც ხორციელდება სკოლაში არ საჭიროებს კანინმდებლობით დადგენილ მოთხოვნას.პროცესი ხორციელდება უსაფრთხო გარემოში და ამ მომსახურეობით სარგებლობის შემთხვევაში მოსწავლეს ზედამხედველობს დამრიგებელი ,საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია ისარგებლოს საგნის მასწავლებლის დახმარებითაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არასავლდებულო მომსახურება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას _ შპს „სკოლა ღონე ქვეყნისა“ წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშვების ძრითადი პროცესები და განვითარების ყველა ეტაპი (კურიკულუმის შემუშვება, კურიკულუმის დანერგვა/რეალიზება, მონიტორინგი და შეფასება, გადსინჯვა და რევიზია), პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი დასაყრდენი, სწორედ, ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

გასაუბრბის დროს აღნიშნეს დაწყებითი კლასების კათედრის წარმომადგენლებმა კათედრაზე შემუშვებული აქვთ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კომპლექსური ტიპის დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების საშუალებას. **ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, იკითხება სხვადასხვა თემის, სიტუაციური ამოცანების ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება. დაწყებით საფეხურზე განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება (მათემატიკა-ქართული - I კლ, ინგლისური-მათემატიკა - IVკლ) და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. სკოლა აწარმოებს გამოკითხვებს სასკოლო საზოგადოებაში მის ყველა დონეზე: მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. ატარებს ლოკალურ SWOT ანალიზს და მიღებულ შედეგებს აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათ საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი 2.1.1.2 სტანდარტს შეესაბამება**

3. კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობდა სასკოლო საზოგადოება რაც ასახულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს დამრიგებლის ანგარიშები სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გამოწვევებიც რასაც შემდგომ იყენებენ კურიკულუმის შემუშავებისას. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში და არა კურიკულუმის შემუშავებაში **<u>სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს მშობლის როლი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.</u>** გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს კურიკულუმის შედგენისას თუმცა, მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში არ ჩანს მოსწავლის როლი კურიკულუმის შემუშავებისას, **<u>სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს თუ რა როლი აქვს მოსწავლეს და როგორ შეუძლია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა.</u>** თუმცა, SWOT ანალიზის ფორმა და მშობლის კითხვარი ამ კრიტერიუმის სტანდარტთან შესაბმაბისობის მაჩვენებალია. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობლებთან შეხვედრების დოკუმენტები რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კურიკულუმის შემუშავებაში მათ აქტიურ მონაწილეობაზე უსვამს ხაზს. ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ მიმდინრეობს შემუშავების პროცესი წლის დასაწყისში, შუაში და წლის ბოლოს, რა ეტაპებს გადის კურიკულუმი და ვინ არის ამაში ჩართული. გარდა ამისა წარმოდგენილი აქვთ მასწავლებელთა კურიკულუმის ანგარიშები სადაც აღწერილია კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი და მგანსახორციელებელი ცვლილებები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მასწავლებლების აქტიურ მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში.

ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4. კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებზე, მათი ინფორმირება და და მათგან უკუკავშირის მიღება. მეთოდოლოგია, ერთგვარად უყალიბებს სასკოლო საზოგადოების წევრებს კურიკულუმთან მიმართებაში მიკუთვნებულობის განცდას, რაკი მიზნობრივი ჯგუფები ამ პროცესის აქტიურ მონაწილეებად არიან წარმოდგენილი.

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მექანიზმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში ჩართული არიან მიზნობრივი ჯგუფები (პედაგოგები, დირექცია, კათედრები და სხვ). **<u>სკოლას მიეცა რჩევა, საგნობრივი კურუკულუმები გაზიარებული იყოს სკოლის ვებ–გვერდზე, რათა სასკოლო საზოგადოების წევრები მეტად ღრმად გაეცნონ სწავლა–სწავლების პროცესებს.</u>**

ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“
- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სადამრიგებლო საათის გეგმა;
- მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ბარათები;
- SWOT ანალიზი;
- კათედრის ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული და შედეგების მიღწევის მთავარ გზას სამიზნე ცნებების გააზრება წარმოადგენს. დოკუმენტაციის გაცნობის, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ცხადი გახდა, რომ სწავლა-სწავლების მთავარი სუბიექტი მოსწავლეა და უმთავრესი მიზანი მისი პიროვნული განვითარებისათვის ხელშეწყობაა. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ასევე ჩენს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, რაც გამოიხატება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში, კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვაში, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში. სწავლების პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლების შესრულებასაც მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის კომპლექსური დავალებები / კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები მარტივია და მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობებზე არის გათვლილი. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ახალისებენ მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიას და ცდილობენ დააფიქრონ ის, თუ რა ცოდნა და გამოცდილება დაეხმარა სამუშაოს წარმატებით შესრულებაში, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ათვლის წერტილს წარმოდგენს გრძელვადიანი მიზნები და პროცესები მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე არის ორიენტირებული. თუმცა მუსიკისა და ხელოვნების (მე-3, მე-4, მე-5 კლასებში) წარმოდგენილ კურიკულუმი სრულად ვერ ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვლისინებული სამი სავალდებულო თემატური ბლოკიდან მუშავდება მხოლოდ ორი თემატური ბლოკი მასში შემავალი თემებით. **ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, მუსიკისა და ხელოვნების (მე-3, მე-4, მე-5 კლასებში) წარმოდგენილ კურიკულუმებში სრულად დაიფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნები.**

ინდიკატორი 2.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი არის სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი / საკითხთა კლასტერი, მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც კლასტერიდან გამომდინარე კონკრეტულ მაგალითებზე არის აგებული.

კურიკულუმების, მატრიცის და ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე არის ორიენტირებული. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, მაგალითად პოსტერის, კომიქსის შექმნა და ა. შ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას, შედარებისათვის მოყვანილი მაგალითები, ანალიტიკური კითხვები კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე არის ორიენტირებული, საგნობრივ კათედრებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზესაგნობრივი კომპეტენციების (მაკროცნებების) განვითარებას (მაგ. გაგება, შედარება...), იზრუნოს მრავალფეროვანი უნარების გააქტიურებაზე და სრულყოფაზე. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ აღინიშნა. სასკოლო პროექტები, ღონისძიებები, მაგ: ,,თოჯინების თეატრი", ,,მაღაზია", ,,დეკორაციების აწყობა", სივრცული ფიგირებით ,,ქალაქის მაკეტის" შექმნა, პროექტი: ნარჩენების მეორე სიცოცხლე", ,,დედამიწის დღის" აღსანიშნავად ხეების დარგვა, მაკულატურის ყუთების დამზადება და ქაღალდის შეგროვება, მე-3 და მე-4 კლასელთა ერთობლივი სპექტაკლი: ,,გადაარჩინე დედამიწა, ჩვენი საერთო სახლი", ,,გადაცემა'' ჯანმრთელობაზე - ჯანმრთელობა და დაავადება და ა.შ. ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 2.1.2.2.სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

3. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მოარგოს. დიფერენცირებული მიდგომები კურიკულუმის შექმნის პირველ ეტაპზევეა გათვალისწინებული. დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების შესრულებისას ითვალისწინებენ როგორც პირობის, ისე აქტივობების მოდიფიკაციას. სასწავლო აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს, მახასიათებლებს; სასწავლო პროცესი მოქნილია, წარმოაჩენს მოსწავლის ინდივიდუალიზმს. კურიკულუმში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლეები. თუმცა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ამსახველი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ შეფასების პროცესში სკოლა გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული. სკოლას გააჩნია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად არის შემუშავებული. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაზღვრულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ გამოყენებულ დოკუმენტებს, ინსტრუმენტებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგროვილი.

ინდიკატორი 2.1.2.5 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე, მიმდინარე სასწავლო პროცესი მორგებული არის მოსწავლის ინტერესებზე და მის აქტიურ ჩართულობას უწყობს ხელს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, სასწავლო პროცესი არის დაფუძნებული კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც შემოქმედებით პროდუქტებს და საინტერესო კონტექსტებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რაც ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და უბიძგებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენისაკენ. კურიკულუმების სრულყოფა გრძელდება და პედაგოგებს მოსამზადებელი აქვთ კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. პროექტული სწავლება, გასვლითი ღონისძიებები და სხვა, ორიენტირებულია მოსწავლეებში შინაგანი ძალების მოტივირებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ვიზიტი ქუთაისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და მოსწავლეების მიერ მათზე მომზადებული ვიდეორგოლი; ინფოგრაფიკები; სოციალური პროექტი ადიქციაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე; გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე; მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული აგრეთვე კომპანია „ტენეს“ პროექტში, ასევე, მაკულატურისა და ელემენტების ჩაბარების პროექტებში; ხშირად სტუმრობენ მუზეუმებს, მათ შორის კინოხელოვნების მუზეუმს; აწყობენ ქალაქის ტურებს იმერეთის ტურიზმის ეროვნულ ცენტრთან და ტურისტულ კომპანიასთან თანამშრომლობით და სხვ. აღსანიშნავია, მოსწავლეების მიერ მომზადებული ბუკლეტი საკუთარ სკოლაზე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ვიზიტი აეროპორტში და შეხვედრა აეროპორტის თანამშრომლებთან, პროფორიენტაციის საკითხებზე, მოსწავლეების მიერ მომზადებული ვიდეოები პროფესიებზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები აგებული არის სავალდებულო თემების მიხედვით, განსაზღვრული არის საკითხთა კლასტერი, მუშავდება კომპლექსური დავალების იდეები. წარმოდგენილი მასალებიდან ნათელი ხდება, რომ ცოდნის აგება თანმიმდევრულ პროცესს წარმოადგენს და მისი კონსტრუირების პროცესში ხდება წინარე ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინება. კურიკულუმში სამიზნე ცნებებთან მიმართებაში თემები მოაზრებული არის მოსწავლის შემეცნების სუბიექტად და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.2.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. დაწყებითი კლასების კურიკულუმებში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი ბუნებრივად კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, მასწავლებლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ, სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას. მოსწავლეები აკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესს და საუბრობენ, რა გაუადვილდათ, რა გაუძნელდათ, რა წინააღმდეგობას წააწყდნენ, როგორ დაძლიეს, რა დაეხმარა მათ ამაში, როგორ ან რას შეცვლიდნენ მათ მიერ შექმნილი პროდუქტის ხელახალი შექმნის შემთხვევაში. ამას გარდა, წარმოდგენილ ჩარჩოებში, თითქმის ყველა საგნობრივი მიმართულებით იკვეთება, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სქემებსა და გრაფიკულ მაორგანიზებლებს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თავადვე დაახარისხონ მიღებული ინფორმაცია, გააანალიზონ ის და ამ გზით განივითარონ მეტაკოგნიტური უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.3 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესი დაწყებით საფეხურზე ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას: დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუს პროცესიდან ჩანს, რომ სწავლების პროცესში სხვადასხვა ტიპის რესურსებს მოსწავლები ამუშავებენ მიზნობრივი შეკითხვებით, ეცნობიან მათში გადმოცემულ ინფორმაციას და ამუშავებენ მასალას შინაარსობრივი თვალსაზრისით. მოსწავლეები იღებენ სტატიკურ ცოდნას, რაც გულისხმობს ფაქტების, თეორიების შესწავლას. როგორც წინა ინდიკატორში იყო აღნიშნული, პედაგოგები (კომპლექსური დავალებების გამოყენებით) ხელს უწყობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლეებში, ჩანს რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას სასწავლო სტრატეგიების შესახებ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია, რაც პროცედურული ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. კომპლექსურ ბუნების დავალებაზე დაფუძნებული კურიკულუმები მოსწავლეებს საინტერესო კონტექსტებს და დავალების პირობებს სთავაზობს, რომლებიც ცოდნის მოქმედებში გადატანას მოითხოვს. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საკითხების სიღრმისეულად გააზრებისათვის სწავლების პროცესი დაფუძნებულია დეკლარაციული, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 სტანდარტს შეესაბამება

5. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი კონტექსტ-მაგალითები და თემატურ მატრიცებში მოცემული აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ისეა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები, დაწყებითი საფეხური
- მასწავლებლის ანგარიშები
- კომპლექსური დავალებები
- სკოლის თვითშეფასება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაფუძნებული არის გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

საგნობრივი კურიკულუმები შედგენილი არის სავალდებულო თემებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში მოცემული არის ქვეცნებები, რომლებიც მიემართება თემატურ კონტექსტს და გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან. იგივე შეიძლება ითქვას წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე: ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეესაბამება დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტს, ეყრდნობა სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს.

საგნობრივი კურიკულუმის მთავარი ორიენტირი არის სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები შუალედური მიზნები არის, რომლებიც გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში ეხმარება მასწავლებლებს. სამიზნე ცნებებსა და მკვიდრს წარმოდგენებზე დაყრდნობით არის შემუშავებული შეფასების რუბრიკებიც.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები საგნობრივი საკითხების შერჩევისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. ეყრდნობიან განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზს კათედრებზე, აგრეთვე დიაგნოსტიკური კვლევებითა და დაკვირვებით მიღებულ ინფორმაციას. მათ გააზრებული აქვთ, რომ შეთავაზებულ კურიკულუმში საგნობრივი საკითხები იმგვარად უნდა შეირჩეს, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ცნობიერებისა და თვითრეგულაციის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: „რა გამოგივიდა კარგად? რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? და ა.შ. ეს ეხმარება მოსწავლეს, მართოს საკუთარი ემოციები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვების მიმართ, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები და დაისახოს რეალური, მიღწევადი მიზნები.

ინდიკატორი 2.2.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში, კათედრის მიერ წარმოდგენილი არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც პედაგოგებს ეხმარებათ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის განსაზღვრაში საგნობრივ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და აზუსტებს მოსწავლესთან მიმართებაში არსებულ მოლოდინებს. რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარების სხვადასხვა გარემოებებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენოს, როგორც ჰოლისტური განვითარების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.3 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

4. დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ხდება ცხადი, პედაგოგები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნული არის, რომ შეფასება უნდა იყოს ობიექტური და სანდო. იმავე დოკუმენტში ხაზგასმული არის, რომ მოსწავლემ კონკრეტულ საგანში უნდა იცოდეს რას მოელიან მისგან და რა კრიტერიუმებით აფასებენ მის ცოდნას. წარმოდგენილი შეფასების სქემები არის მკაფიო და ცალსახა, არ არის ორაზროვანი და არ იწვევს ორაზროვნებას შეფასების პროცესში. ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ ცოდნა და პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით და მზად არიან განაგრძონ მუშაობა ამ მიმართულებით.

ინდიკატორი 2.2.2.4 სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა დავალების/აქტივობის შეფასების რუბრიკებს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია დაწყებითი კლასებისათვის. სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა პორტფოლიოს შეფასება, რომელსაც აფასებს დამრიგებელი წინასწარ გაწერილი კრიტერიუმებით სასწავლი წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე და მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს. სკოლაში მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს მათი შედეგების საფუძველზე კათედრის შეხვედრებზე.

ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტს შეესაბამება

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით დამოწმებული შფასებასთან დაკავშირებული მონაცემები ინახება კანონმდებლობის დაცვით სკოლაში. ასევე ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები. შეფასებები განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაცულია ოქმებში. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სტანდარტს შეესაბამება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმების ჩარჩო

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, სასწავლო პროცესში შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო. მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, ჩანს გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდურობა. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე იგეგმება ისეთ აქტივობები, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ჩაერთონ თანამშრომლობით სამუშაოებში, სადაც მათი ინიციატივები იქნება დაფასებული და წახალისებული. ამის მტკიცებულებაა პროექტები, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების სამივე რგოლი. მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლა ზრუნავს აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა მიღწევებზე და მათ წარმატებებზე. აძლევენ მათ რჩევებს და ერთად გეგმავენ შედეგების გაუმჯობესების გზებს ცდილობენ წაახალისონ მათი ქცევა, ესენია; მხარდაჭერა, ერთმანეთზე ზრუნვა, თანადგომა, პასუხისმგებლობა, ურთიერთდახმარება.

ინდიკატორი 2.2.3.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ მოსწავლე ამ პროცესების აქტიური მონაწილეა. განვლილი პროცესებში გაანალიზება შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

მიმართულებებით ხდება: რა ფაქტორები უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რა ფაქტორები უწყობდა / უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. აღნიშნულ მასალიდან ჩანს, რომ მოსწავლის ჩართულობა პროცესებში სკოლის განსაკუთრებული ინტერესის საგანია და ხელშემწყობ ღონისძიებებს ახორციელებს, ასევე წახალისებულია მისი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა ამკვიდრებს პრაქტიკას, რომლის მიხედვით მოსწავლის ჩართულობის ანალიზის შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლებას, რომელიც მათ ასაკობრივ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე იქნება მორგებული. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას.

ინდიკატორი 2.2.3.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რისი საუკეთესო პრაქტიკა ასევე პროექტული სწავლება და ერთობლივად დაგეგმილ აქტივობებში ჩართულობაა. ასევე კლასგარეშე ღონისძიებებში მონაწილეობაც თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფაა. ამ თვალსაზრისით საგანში წარმოდგენილია მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მიმართულებით ტექნოლოგიის ინტეგრირება გაკვეთილის „მოცეკვავე ჩიტების“ წარმოდგენისას. მნიშვნელოვნად იკითხება დამრიგებლის თანამშრომლობა მოსწავლეთა საგნობრივი კომპეტენციის დაძლევის მიზნით, რაც სადამრიგებლო მუშაობის ანგარიშებით დასტურდება.

ინდიკატორი 2.2.3.3 სტანდარტს შეესაბამება

4. დაწყებითები საფეხურის კათედრას გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. დაწყებით საფეხურზე პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში; სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; შეუძლიათ კონფლიქტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

მართვა. სკოლა საუბრობს, რომ შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს სკოლის შინაგანაწესი. სკოლის რეალობაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო თუ საკლასო გარემო. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, როგორც კომპლექსური, სასწავლო პროცესის ყოველდღიური მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც სამოქმედო გეგმით დაგეგმილ მიდგომებში იკითხება.

ინდიკატორი 2.2.3.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023–2024 წლია სასკოლო გეგმა;
- მასწავლებლის (სამოქმედო გეგმა) და დამრიგებლის პორტფოლიო,
- „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი“,
- მოწვეული სპეციალისტის ლექცია ინფორმაციის დაცვაზე და ჯანმრთელ კვებაზე, ძალადობაზე.
- კათედრის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლას აქვს სასკლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანერგვის პროცესების შესწავლას/სასკოლო კურიკულუმის განვითარებას. კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია. მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს მეთოდოლოგიური ჩარჩო/გეგმით. წამოდგენილია მიზანი, მონაცემთა შეგროვება–ანალიზი და შედეგების ასახვის პროცესები. ხორციელდება მონიტორინგის შედეგების კვლევა წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე; ცვლილებების განხორციელება შეფასებისა და მონიტორინგის საფუძველზე; შეფასების ინდიკატორების საფუძველია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სკოლის შიდა რეგულაციები; მონაცემების შეგროვების მეთოდებია: კითხვარები, დოკუმენტაციის ანალიზი, პორტფოლიოები, გამოკითხვა, სასკოლო თემის ჩართულობა/ინიციატივები, მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზები, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, ინტერვიუები, სოციალური ქსელების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს პრაქტიკა პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები. მონტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, დაწყებით საფეხურზე შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას კურიკულუმში და ეს ყველაფერი საფუძველი გახდეს განვითარებად სასკოლო ცხოვრებისა ჯანსაღ სასწავლო პროცესებში.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი,
- მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია,
- კათედრის ოქმი #2
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის სრულყოფის, სასკოლო კულტურის განვითარების. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში დასკვნის ვალიდაციას უზრუნველყოფს. სკოლის მცირეკონტიგენტი კი ხელს უწყობს შეფასებაში კონტექსტის ჩართვას და ეფექტურად გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. ვალიდურობა უზრუნველყოფილია მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწვალის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით/მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლაში გამოიყენება კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, პორტფოლიოების შეფასება; მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, ინტერვიუები, სოციალური ქსელების ანალიზი და სხვა, რაც უზრუნველყოფს შეფასევბისათვის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა ქმედითად ხედავს შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საჭიროებას: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ამ თვალსაზრისით აანალიზებს, შეფასებისას დაწყებით საფეხურზე რამდენად გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: ხედვის პერსპექტივა; მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა საშუალებაა მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების, მისი სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირების და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა.

ინდიკატორი 2.3.1.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და განხორციელებული შეფასების ანალიზი
- სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია
- პორტფოლიოს შეფასების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით კათედრები აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. <u>**რჩევის სახით სასურველია, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს მიეცეს ცალკე არსებული დოკუმენტის სახე, სადაც დროში გაიწერება გამოვლენილი რეფლექსიური მიგნებები და მათზე პასუხისმგებელი პირები.**</u>

ინდიკატორი 2.4.1.1 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და შექმნილი აქვს რევიზირებული ვერსია, რაც ინერგება მიმდინარე სასწავლო წელს. ფაქტია, რომ სკოლა აცნობიერებს სამოქმედო გეგმისა და კურიკულუმის დანერგვის პროცესის მუდმივი ინტერაქციის საჭიროებას, რაც მოსწავლეთა შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებულ პროცესების რეფლექსიებს, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს ეყრდნობა. შესაბამისად, სკოლა ციკლურად გეგმავს ცვლილებებს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში კლასის/საფეხურის დონეზე

. **ინდიკატორი 2.4.1.2 სტანდარტს შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას _ შპს „სკოლა ღონე ქვეყნისა“ წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშვების ძრითადი პროცესები და განვითარების ყველა ეტაპი (კურიკულუმის შემუშვება, კურიკულუმის დანერგვა/რეალიზება, მონიტორინგი და შეფასება, გადსინჯვა და რევიზია), პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი დასაყრდენი, სწორედ, ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია, როგორც გასაუბრბის დროს აღნიშნეს საბაზო საფეხურის კათედრის წარმომადგენლებმა. კათედრაზე შემუშვებული აქვთ საბაზო საფეხურის კურიკულუმები მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კომპლექსური ტიპის დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების საშუალებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, იკითხება სხვადასხვა თემის, სიტუაციური ამოცანების ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება. საბაზო საფეხურზე განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. სკოლა აწარმოებს გამოკითხვებს სასკოლო საზოგადოებაში მის ყველა დონეზე: მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. ატარებს ლოკალურ SWOT ანალიზს და მიღებულ შედეგებს აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათ საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.1.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობდა სასკოლო საზოგადოება რაც ასახულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს დამრიგებლის ანგარიშები სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გამოწვევებიც რასაც შემდგომ იყენებენ კურიკულუმის შემუშავებისას. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში და არა კურიკულუმის შემუშავებაში **სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს მშობლის როლი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.** გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს კურიკულუმის შედგენისას თუმცა, მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში არ ჩანს მოსწავლის როლი კურიკულუმის შემუშავებისას, **სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს თუ რა როლი აქვს მოსწავლეს და როგორ შეუძლია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა.** თუმცა, SWOT ანალიზის ფორმა და მშობლის კითხვარი ამ კრიტერიუმის სტანდარტთან შესაბმაბისობის მაჩვენებალია. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობლებთან შეხვედრების დოკუმენტები რაც კურიკულუმის შემუშავებაში მათ აქტიურ მონაწილეობაზე უსვამს ხაზს. ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ მიმდინრეობს შემუშავების პროცესი წლის დასაწყისში, შუაში და წლის ბოლოს, რა ეტაპებს გადის კურიკულუმი და ვინ არის ამაში ჩართული. გარდა ამისა წარმოდგენილი აქვთ მასწავლებელთა კურიკულუმის ანგარიშები სადაც აღწერილია კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი და მგანსახორციელებელი ცვლილებები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მასწავლებლების აქტიურ მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში

. **ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტს შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

4. კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებზე, მათი ინფორმირება და და მათგან უკუკავშირის მიღება. მეთოდოლოგია, ერთგვარად უყალიბებს სასკოლო საზოგადოების წევრებს კურიკულუმთან მიმართებაში მიკუთვნებულობის განცდას, რაკი მიზნობრივი ჯგუფები ამ პროცესის აქტიურ მონაწილეებად არიან წარმოდგენილი.

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მექანიზმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში ჩართული არიან მიზნობრივი ჯგუფები (პედაგოგები, დირექცია, კათედრები და სხვ). **სკოლას მიეცა რჩევა, საგნობრივი კურუკულუმები გაზიარებული იყოს სკოლის ვებ–გვერდზე, რათა სასკოლო საზოგადოების წევრები მეტად ღრმად გაეცნონ სწავლა–სწავლების პროცესებს.**

ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“
- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სადამრიგებლო საათის გეგმა;
- მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ბარათები;
- SWOT ანალიზი;
- კათედრის ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საბაზო საფეხურის კურიკულუმები გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული და შედეგების მიღწევის მთავარ გზას სამიზნე ცნებების გააზრება წარმოადგენს. დოკუმენტაციის გაცნობის, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ცხადი გახდა, რომ სწავლა-სწავლების მთავარი სუბიექტი მოსწავლეა და უმთავრესი მიზანი მისი პიროვნული განვითარებისათვის ხელშეწყობაა. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ასევე ჩენს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, რაც გამოიხატება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში, კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვაში, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში. სწავლების პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლების შესრულებასაც მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის კომპლექსური დავალებები / კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები მარტივია და მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობებზე არის გათვლილი. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ახალისებენ მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიას და ცდილობენ დააფიქრონ ის, თუ რა ცოდნა და გამოცდილება დაეხმარა სამუშაოს წარმატებით შესრულებაში, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს წარმოდგენს გრძელვადიანი მიზნები და პროცესები მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე არის ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საბაზო საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი არის სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი / საკითხთა კლასტერი, მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც კლასტერიდან გამომდინარე კონკრეტულ მაგალითებზე არის აგებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კურიკულუმების, მატრიცის და ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე არის ორიენტირებული. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, მაგალითად პოსტერის, კომიქსის შექმნა და ა. შ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას, შედარებისათვის მოყვანილი მაგალითები, ანალიტიკური კითხვები კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე არის ორიენტირებული, საგნობრივ კათედრებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზესაგნობრივი კომპეტენციების (მაკროცნებების) განვითარებას (მაგ. გაგება, შედარება...), იზრუნოს მრავალფეროვანი უნარების გააქტიურებაზე და სრულყოფაზე. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ აღინიშნა. სასკოლო პროექტები, ღონისძიებები, მაგ: ,,თოჯინების თეატრი", ,,მაღაზია", ,,დეკორაციების აწყობა", სივრცული ფიგირებით ,,ქალაქის მაკეტის" შექმნა, პროექტი: ნარჩენების მეორე სიცოცხლე", ,,დედამიწის დღის" აღსანიშნავად ხეების დარგვა, მაკულატურის ყუთების დამზადება და ქაღალდის შეგროვება, ,,გადაცემა'' ჯანმრთელობაზე - ჯანმრთელობა და დაავადება და ა.შ. ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 2.1.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მოარგოს. დიფერენცირებული მიდგომები კურიკულუმის შექმნის პირველ ეტაპზევეა გათვალისწინებული. საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების შესრულებისას ითვალისწინებენ როგორც პირობის, ისე აქტივობების მოდიფიკაციას. სასწავლო აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს, მახასიათებლებს; სასწავლო პროცესი მოქნილია, წარმოაჩენს მოსწავლის ინდივიდუალიზმს. კურიკულუმში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლეები. თუმცა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ამსახველი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ შეფასების პროცესში სკოლა გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული. სკოლას გააჩნია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად არის შემუშავებული. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ორივე ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 სტანდარტს შეესაბამენა

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაზღვრულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ გამოყენებულ დოკუმენტებს, ინსტრუმენტებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგროვილი.

ინდიკატორი 2.1.2.5 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

1. საბაზო საფეხურზე, მიმდინარე სასწავლო პროცესი მორგებული არის მოსწავლის ინტერესებზე და მის აქტიურ ჩართულობას უწყობს ხელს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, სასწავლო პროცესი არის დაფუძნებული კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც შემოქმედებით პროდუქტებს და საინტერესო კონტექსტებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რაც ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და უბიძგებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენისაკენ. კურიკულუმების სრულყოფა გრძელდება და პედაგოგებს მოსამზადებელი აქვთ კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. პროექტული სწავლება, გასვლითი ღონისძიებები და სხვა, ორიენტირებულია მოსწავლეებში შინაგანი ძალების მოტივირებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ვიზიტი ქუთაისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და მოსწავლეების მიერ მათზე მომზადებული ვიდეორგოლი; ინფოგრაფიკები; სოციალური პროექტი ადიქციაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე; გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე; მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული აგრეთვე კომპანია „ტენეს“ პროექტში, ასევე, მაკულატურისა და ელემენტების ჩაბარების პროექტებში; ხშირად სტუმრობენ მუზეუმებს, მათ შორის კინოხელოვნების მუზეუმს; აწყობენ ქალაქის ტურებს იმერეთის ტურიზმის ეროვნულ ცენტრთან და ტურისტულ კომპანიასთან თანამშრომლობით და სხვ. აღსანიშნავია, მოსწავლეების მიერ მომზადებული ბუკლეტი საკუთარ სკოლაზე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსწავლეთა ვიზიტი აეროპორტში და შეხვედრა აეროპორტის თანამშრომლებთან, პროფორიენტაციის საკითხებზე, მოსწავლეების მიერ მომზადებული ვიდეოები პროფესიებზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმები აგებული არის სავალდებულო თემების მიხედვით, განსაზღვრული არის საკითხთა კლასტერი, მუშავდება კომპლექსური დავალების იდეები. წარმოდგენილი მასალებიდან ნათელი ხდება, რომ ცოდნის აგება თანმიმდევრულ პროცესს წარმოადგენს და მისი კონსტრუირების პროცესში ხდება წინარე ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინება. კურიკულუმში სამიზნე ცნებებთან მიმართებაში თემები მოაზრებული არის მოსწავლის შემეცნების სუბიექტად და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს

. **ინდიკატორი 2.2.1.2 სტანდარტს შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

3. საბაზო საფეხურზე დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმებში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი ბუნებრივად კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, მასწავლებლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ, სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას. მოსწავლეები აკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესს და საუბრობენ, რა გაუადვილდათ, რა გაუძნელდათ, რა წინააღმდეგობას წააწყდნენ, როგორ დაძლიეს, რა დაეხმარა მათ ამაში, როგორ ან რას შეცვლიდნენ მათ მიერ შექმნილი პროდუქტის ხელახალი შექმნის შემთხვევაში. ამას გარდა, წარმოდგენილ ჩარჩოებში, თითქმის ყველა საგნობრივი მიმართულებით იკვეთება, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სქემებსა და გრაფიკულ მაორგანიზებლებს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თავადვე დაახარისხონ მიღებული ინფორმაცია, გააანალიზონ ის და ამ გზით განივითარონ მეტაკოგნიტური უნარები.

ინდიკატორი 2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესი საბაზო საფეხურზე ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას: დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუს პროცესიდან ჩანს, რომ სწავლების პროცესში სხვადასხვა ტიპის რესურსებს მოსწავლები ამუშავებენ მიზნობრივი შეკითხვებით, ეცნობიან მათში გადმოცემულ ინფორმაციას და ამუშავებენ მასალას შინაარსობრივი თვალსაზრისით. მოსწავლეები იღებენ სტატიკურ ცოდნას, რაც გულისხმობს ფაქტების, თეორიების შესწავლას. როგორც წინა ინდიკატორში იყო აღნიშნული, პედაგოგები (კომპლექსური დავალებების გამოყენებით) ხელს უწყობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლეებში, ჩანს რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას სასწავლო სტრატეგიების შესახებ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია, რაც პროცედურული ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. კომპლექსურ ბუნების დავალებაზე დაფუძნებული კურიკულუმები მოსწავლეებს საინტერესო კონტექსტებს და დავალების პირობებს სთავაზობს, რომლებიც ცოდნის მოქმედებში გადატანას მოითხოვს. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

რომ საკითხების სიღრმისეულად გააზრებისათვის სწავლების პროცესი დაფუძნებულია დეკლარაციული, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 სტანდარტს შეესაბამება

5. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალების იდეები. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი კონტექსტ-მაგალითები და თემატურ მატრიცებში მოცემული აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ისეა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები, საბაზო საფეხური
- მასწავლებლის ანგარიშები
- კომპლექსური დავალებები
- სკოლის თვითშეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაფუძნებული არის გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილი არის სავალდებულო თემებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში მოცემული არის ქვეცნებები, რომლებიც მიემართება თემატურ კონტექსტს და გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან. იგივე შეიძლება ითქვას წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე: ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეესაბამება საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტს, ეყრდნობა სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს.
საგნობრივი კურიკულუმის მთავარი ორიენტირი არის სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები შუალედური მიზნები არის, რომლებიც გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში ეხმარება მასწავლებლებს. სამიზნე ცნებებსა და მკვიდრს წარმოდგენებზე დაყრდნობით არის შემუშავებული შეფასების რუბრიკებიც.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები საგნობრივი საკითხების შერჩევისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. ეყრდნობიან განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზს კათედრებზე, აგრეთვე დიაგნოსტიკური კვლევებითა და დაკვირვებით მიღებულ ინფორმაციას. მათ გააზრებული აქვთ, რომ შეთავაზებულ კურიკულუმში საგნობრივი საკითხები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

იმგვარად უნდა შეირჩეს, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ცნობიერებისა და თვითრეგულაციის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: „რა გამოგივიდა კარგად? რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? და ა.შ. ეს ეხმარება მოსწავლეს, მართოს საკუთარი ემოციები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვების მიმართ, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები და დაისახოს რეალური, მიღწევადი მიზნები

ინდიკატორი 2.2.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში, კათედრის მიერ წარმოდგენილი არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც პედაგოგებს ეხმარებათ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის განსაზღვრაში საგნობრივ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და აზუსტებს მოსწავლესთან მიმართებაში არსებულ მოლოდინებს. რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარების სხვადასხვა გარემოებებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენოს, როგორც ჰოლისტური განვითარების ინსტრუმენტი

ინდიკატორი 2.2.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4. საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ხდება ცხადი, პედაგოგები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნული არის, რომ შეფასება უნდა იყოს ობიექტური და სანდო. იმავე დოკუმენტში ხაზგასმული არის, რომ მოსწავლემ კონკრეტულ საგანში უნდა იცოდეს რას მოელიან მისგან და რა კრიტერიუმებით აფასებენ მის ცოდნას. წარმოდგენილი შეფასების სქემები არის მკაფიო და ცალსახა, არ არის ორაზროვანი და არ იწვევს ორაზროვნებას შეფასების პროცესში. ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ ცოდნა და პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით და მზად არიან განაგრძონ მუშაობა ამ მიმართულებით.

ინდიკატორი 2.2.2.4 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა დავალების/აქტივობის შეფასების რუბრიკებს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია საბაზო საფეხურის კლასებისათვის. სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა პორტფოლიოს შეფასება, რომელსაც აფასებს დამრიგებელი წინასწარ გაწერილი კრიტერიუმებით სასწავლი წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე და მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს. სკოლაში მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს მათი შედეგების საფუძველზე კათედრის შეხვედრებზე.

ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტს შეესაბამება

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით დამოწმებული შფასებასთან დაკავშირებული მონაცემები ინახება კანონმდებლობის დაცვით სკოლაში. ასევე ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები. შეფასებები განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაცულია ოქმებში. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სტანდარტს შეესაბამება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმების ჩარჩო

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, სასწავლო პროცესში შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო. მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, ჩანს გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდურობა. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე იგეგმება ისეთ აქტივობები, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ჩაერთონ თანამშრომლობით სამუშაოებში, სადაც მათი ინიციატივები იქნება დაფასებული და წახალისებული. ამის მტკიცებულებაა პროექტები, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების სამივე რგოლი. მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლა ზრუნავს აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა მიღწევებზე და მათ წარმატებებზე. აძლევენ მათ რჩევებს და ერთად გეგმავენ შედეგების გაუმჯობესების გზებს ცდილობენ წაახალისონ მათი ქცევა, ესენია; მხარდაჭერა, ერთმანეთზე ზრუნვა, თანადგომა, პასუხისმგებლობა, ურთიერთდახმარება.

ინდიკატორი 2.2.3.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ მოსწავლე ამ პროცესების აქტიური მონაწილეა. განვლილი პროცესებში გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით ხდება: რა ფაქტორები უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რა ფაქტორები უწყობდა / უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. აღნიშნულ მასალიდან ჩანს, რომ მოსწავლის ჩართულობა პროცესებში სკოლის განსაკუთრებული ინტერესის საგანია და ხელშემწყობ ღონისძიებებს ახორციელებს, ასევე წახალისებულია მისი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა ამკვიდრებს პრაქტიკას, რომლის მიხედვით მოსწავლის ჩართულობის ანალიზის შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლებას, რომელიც მათ ასაკობრივ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე იქნება მორგებული. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას. **ინდიკატორი 2.2.3.2 სტანდარტს შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

3. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რისი საუკეთესო პრაქტიკა ასევე პროექტული სწავლება და ერთობლივად დაგეგმილ აქტივობებში ჩართულობაა. ასევე კლასგარეშე ღონისძიებებში მონაწილეობაც თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფაა. ამ თვალსაზრისით საგანში წარმოდგენილია მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მიმართულებით ტექნოლოგიის ინტეგრირება გაკვეთილის „მოცეკვავე ჩიტების“ წარმოდგენისას. მნიშვნელოვნად იკითხება დამრიგებლის თანამშრომლობა მოსწავლეთა საგნობრივი კომპეტენციის დაძლევის მიზნით, რაც სადამრიგებლო მუშაობის ანგარიშებით დასტურდება. **ინდიკატორი 2.2.3.3 სტანდარტს შეესაბამება**

4. საბაზო საფეხურის კათედრას გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. საბაზო საფეხურზე პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში; სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. სკოლა საუბრობს, რომ შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს სკოლის შინაგანაწესი. სკოლის რეალობაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო თუ საკლასო გარემო. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, როგორც კომპლექსური, სასწავლო პროცესის ყოველდღიური მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც სამოქმედო გეგმით დაგეგმილ მიდგომებში იკითხება.

ინდიკატორი 2.2.3.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023–2024 წლია სასკოლო გეგმა;
- მასწავლებლის (სამოქმედო გეგმა) და დამრიგებლის პორტფოლიო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი“,
- მოწვეული სპეციალისტის ლექცია ინფორმაციის დაცვაზე და ჯანმრთელ კვებაზე, ძალადობაზე.
- კათედრის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლას აქვს სასკლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანერგვის პროცესების შესწავლას/სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კურიკულუმის განვითარებას. კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია. მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს მეთოდოლოგიური ჩარჩო/გეგმით. წამოდგენილია მიზანი, მონაცემთა შეგროვება–ანალიზი და შედეგების ასახვის პროცესები. ხორციელდება მონიტორინგის შედეგების კვლევა წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე; ცვლილებების განხორციელება შეფასებისა და მონიტორინგის საფუძველზე; შეფასების ინდიკატორების საფუძველია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სკოლის შიდა რეგულაციები; მონაცემების შეგროვების მეთოდებია: კითხვარები, დოკუმენტაციის ანალიზი, პორტფოლიოები, გამოკითხვა, სასკოლო თემის ჩართულობა/ინიციატივები, მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზები, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, ინტერვიუები, სოციალური ქსელების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება**

3. სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს პრაქტიკა პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები. მონტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, საბაზო საფეხურზე შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას კურიკულუმში და ეს ყველაფერი საფუძველი გახდეს განვითარებად სასკოლო ცხოვრებისა ჯანსაღ სასწავლო პროცესებში.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი,
- მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია,
- კათედრის ოქმი #2
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის სრულყოფის, სასკოლო კულტურის განვითარების. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში დასკვნის ვალიდაციას უზრუნველყოფს. სკოლის მცირეკონტიგენტი კი ხელს უწყობს შეფასებაში კონტექსტის ჩართვას და ეფექტურად გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. ვალიდურობა უზრუნველყოფილია მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწვალის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით/მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლაში გამოიყენება კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, პორტფოლიოების შეფასება; მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზები, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, ინტერვიუები, სოციალური ქსელების ანალიზი და სხვა, რაც უზრუნველყოფს შეფასევბისათვის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა ქმედითად ხედავს შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საჭიროებას: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ამ თვალსაზრისით აანალიზებს, შეფასებისას საბაზო საფეხურზე რამდენად გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: ხედვის პერსპექტივა; მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა საშუალებაა მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების, მისი სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირების და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა.

ინდიკატორი 2.3.1.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და განხორციელებული შეფასების ანალიზი
- სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია
- პორტფოლიოს შეფასების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით კათედრები აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. <u>**რჩევის სახით სასურველია, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს მიეცეს ცალკე არსებული დოკუმენტის სახე, სადაც დროში გაიწერება გამოვლენილი რეფლექსიური მიგნებები და მათზე პასუხისმგებელი პირები**</u>

.ინდიკატორი 2.4.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და შექმნილი აქვს რევიზირებული ვერსია, რაც ინერგება მიმდინარე სასწავლო წელს. ფაქტია, რომ სკოლა აცნობიერებს სამოქმედო გეგმისა და კურიკულუმის დანერგვის პროცესის მუდმივი ინტერაქციის საჭიროებას, რაც მოსწავლეთა შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებულ პროცესების რეფლექსიებს, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს ეყრდნობა. შესაბამისად, სკოლა ციკლურად გეგმავს ცვლილებებს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში კლასის/საფეხურის დონეზე.

ინდიკატორი 2.4.1.2 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას _ შპს „სკოლა ღონე ქვეყნისა“ წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშვების ძრითადი პროცესები და განვითარების ყველა ეტაპი (კურიკულუმის შემუშვება, კურიკულუმის დანერგვა/რეალიზება, მონიტორინგი და შეფასება, გადსინჯვა და რევიზია), პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი დასაყრდენი, სწორედ, ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია, როგორც გასაუბრბის დროს აღნიშნეს საშუალო საფეხურის კათედრის წარმომადგენლებმა. კათედრაზე შემუშვებული აქვთ საშუალო საფეხურის კურიკულუმები მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კომპლექსური ტიპის დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების საშუალებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, იკითხება სხვადასხვა თემის, სიტუაციური ამოცანების ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება. საშუალო საფეხურზე განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. სკოლა აწარმოებს გამოკითხვებს სასკოლო საზოგადოებაში მის ყველა დონეზე: მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. ატარებს ლოკალურ SWOT ანალიზს და მიღებულ შედეგებს აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათ საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.1.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობდა სასკოლო საზოგადოება რაც ასახულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს დამრიგებლის ანგარიშები სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გამოწვევებიც რასაც შემდგომ იყენებენ კურიკულუმის შემუშავებისას. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში და არა კურიკულუმის შემუშავებაში **<u>სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს მშობლის როლი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.</u>** გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს კურიკულუმის შედგენისას თუმცა, მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში არ ჩანს მოსწავლის როლი კურიკულუმის შემუშავებისას, **<u>სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს თუ რა როლი აქვს მოსწავლეს და როგორ შეუძლია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა.</u>** თუმცა, SWOT ანალიზის ფორმა და მშობლის კითხვარი ამ კრიტერიუმის სტანდარტთან შესაბმაბისობის მაჩვენებალია. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობლებთან შეხვედრების დოკუმენტები რაც კურიკულუმის შემუშავებაში მათ აქტიურ მონაწილეობაზე უსვამს ხაზს. ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ მიმდინრეობს შემუშავების პროცესი წლის დასაწყისში, შუაში და წლის ბოლოს, რა ეტაპებს გადის კურიკულუმი და ვინ არის ამაში ჩართული. გარდა ამისა წარმოდგენილი აქვთ მასწავლებელთა კურიკულუმის ანგარიშები სადაც აღწერილია კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი და მგანსახორციელებელი ცვლილებები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მასწავლებლების აქტიურ მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში.

ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

4. კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებზე, მათი ინფორმირება და და მათგან უკუკავშირის მიღება. მეთოდოლოგია, ერთგვარად უყალიბებს სასკოლო საზოგადოების წევრებს კურიკულუმთან მიმართებაში მიკუთვნებულობის განცდას, რაკი მიზნობრივი ჯგუფები ამ პროცესის აქტიურ მონაწილეებად არიან წარმოდგენილი.

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მექანიზმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში ჩართული არიან მიზნობრივი ჯგუფები (პედაგოგები, დირექცია, კათედრები და სხვ).

ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“
- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სადამრიგებლო საათის გეგმა;
- მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ბარათები;
- SWOT ანალიზი;
- კათედრის ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საშუალო საფეხურის კურიკულუმები გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული და შედეგების მიღწევის მთავარ გზას სამიზნე ცნებების გააზრება წარმოადგენს. დოკუმენტაციის გაცნობის, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ცხადი გახდა, რომ სწავლა-სწავლების მთავარი სუბიექტი მოსწავლეა და უმთავრესი მიზანი მისი პიროვნული განვითარებისათვის ხელშეწყობაა. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ასევე ჩენს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, რაც გამოიხატება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში, კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვაში, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში. სწავლების პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლების შესრულებასაც მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის კომპლექსური დავალებები / კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები მარტივია და მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობებზე არის გათვლილი. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ახალისებენ მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიას და ცდილობენ დააფიქრონ ის, თუ რა ცოდნა და გამოცდილება დაეხმარა სამუშაოს წარმატებით შესრულებაში, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს წარმოდგენს გრძელვადიანი მიზნები და პროცესები მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე არის ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საშუალო საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი არის სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი / საკითხთა კლასტერი, მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც კლასტერიდან გამომდინარე კონკრეტულ მაგალითებზე არის აგებული.

კურიკულუმების, მატრიცის და ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე არის ორიენტირებული. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, მაგალითად პოსტერის, კომიქსის შექმნა და ა. შ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას, შედარებისათვის მოყვანილი მაგალითები, ანალიტიკური კითხვები კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე არის ორიენტირებული, საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კათედრებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზესაგნობრივი კომპეტენციების (მაკროცნებების) განვითარებას (მაგ. გაგება, შედარება...), იზრუნოს მრავალფეროვანი უნარების გააქტიურებაზე და სრულყოფაზე. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ აღინიშნა. სასკოლო პროექტები, ღონისძიებები, მაგ: ,,თოჯინების თეატრი", ,,მაღაზია", ,,დეკორაციების აწყობა", სივრცული ფიგირებით ,,ქალაქის მაკეტის" შექმნა, პროექტი: ნარჩენების მეორე სიცოცხლე", ,,დედამიწის დღის" აღსანიშნავად ხეების დარგვა, მაკულატურის ყუთების დამზადება და ქაღალდის შეგროვება, ,,გადაცემა'' ჯანმრთელობაზე - ჯანმრთელობა და დაავადება და ა.შ. ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 2.1.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მოარგოს. დიფერენცირებული მიდგომები კურიკულუმის შექმნის პირველ ეტაპზევეა გათვალისწინებული. საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების შესრულებისას ითვალისწინებენ როგორც პირობის, ისე აქტივობების მოდიფიკაციას. სასწავლო აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს, მახასიათებლებს; სასწავლო პროცესი მოქნილია, წარმოაჩენს მოსწავლის ინდივიდუალიზმს. კურიკულუმში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლეები. თუმცა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ამსახველი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ შეფასების პროცესში სკოლა გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული. სკოლას გააჩნია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად არის შემუშავებული. საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ორივე ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ნაჩვენებია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, კერძოდ კი პედაგოგი ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაზღვრულია კათედრის სხდომების გამართვა, სადაც პედაგოგები განიხილავენ გამოყენებულ დოკუმენტებს, ინსტრუმენტებს და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს სასწავლო პროცესში, კათედრის სხდომის შინაარსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის დირექციისათვის, რადგან მომდევნო წლის კურიკულუმი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ დაგეგმვის პროცესში სკოლის ორიენტირი არის წინარე გამოცდილება, რომელიც სამუშაო პროცესში იქნა დაგროვილი.

ინდიკატორი 2.1.2.5 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე, მიმდინარე სასწავლო პროცესი მორგებული არის მოსწავლის ინტერესებზე და მის აქტიურ ჩართულობას უწყობს ხელს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, სასწავლო პროცესი არის დაფუძნებული კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც შემოქმედებით პროდუქტებს და საინტერესო კონტექსტებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რაც ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და უბიძგებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენისაკენ. კურიკულუმების სრულყოფა გრძელდება და პედაგოგებს მოსამზადებელი აქვთ კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. პროექტული სწავლება, გასვლითი ღონისძიებები და სხვა, ორიენტირებულია მოსწავლეებში შინაგანი ძალების მოტივირებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ვიზიტი ქუთაისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და მოსწავლეების მიერ მათზე მომზადებული ვიდეორგოლი; ინფოგრაფიკები; სოციალური პროექტი ადიქციაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე; გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე; მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული აგრეთვე კომპანია „ტენეს“ პროექტში, ასევე, მაკულატურისა და ელემენტების ჩაბარების პროექტებში; ხშირად სტუმრობენ მუზეუმებს, მათ შორის კინოხელოვნების მუზეუმს; აწყობენ ქალაქის ტურებს იმერეთის ტურიზმის ეროვნულ ცენტრთან და ტურისტულ კომპანიასთან თანამშრომლობით და სხვ. აღსანიშნავია, მოსწავლეების მიერ მომზადებული ბუკლეტი საკუთარ სკოლაზე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსწავლეთა ვიზიტი აეროპორტში და შეხვედრა აეროპორტის თანამშრომლებთან, პროფორიენტაციის საკითხებზე, მოსწავლეების მიერ მომზადებული ვიდეოები პროფესიებზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმები აგებული არის სავალდებულო თემების მიხედვით, განსაზღვრული არის საკითხთა კლასტერი, მუშავდება კომპლექსური დავალების იდეები. წარმოდგენილი მასალებიდან ნათელი ხდება, რომ ცოდნის აგება თანმიმდევრულ პროცესს წარმოადგენს და მისი კონსტრუირების პროცესში ხდება წინარე ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინება. კურიკულუმში სამიზნე ცნებებთან მიმართებაში თემები მოაზრებული არის მოსწავლის შემეცნების სუბიექტად და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.2.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. საშუალო საფეხურზე დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმებში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი ბუნებრივად კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, მასწავლებლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ, სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას. მოსწავლეები აკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესს და საუბრობენ, რა გაუადვილდათ, რა გაუძნელდათ, რა წინააღმდეგობას წააწყდნენ, როგორ დაძლიეს, რა დაეხმარა მათ ამაში, როგორ ან რას შეცვლიდნენ მათ მიერ შექმნილი პროდუქტის ხელახალი შექმნის შემთხვევაში. ამას გარდა, წარმოდგენილ ჩარჩოებში, თითქმის ყველა საგნობრივი მიმართულებით იკვეთება, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სქემებსა და გრაფიკულ მაორგანიზებლებს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თავადვე დაახარისხონ მიღებული ინფორმაცია, გააანალიზონ ის და ამ გზით განივითარონ მეტაკოგნიტური უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესი საშუალო საფეხურზე ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას: დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუს პროცესიდან ჩანს, რომ სწავლების პროცესში სხვადასხვა ტიპის რესურსებს მოსწავლები ამუშავებენ მიზნობრივი შეკითხვებით, ეცნობიან მათში გადმოცემულ ინფორმაციას და ამუშავებენ მასალას შინაარსობრივი თვალსაზრისით. მოსწავლეები იღებენ სტატიკურ ცოდნას, რაც გულისხმობს ფაქტების, თეორიების შესწავლას. როგორც წინა ინდიკატორში იყო აღნიშნული, პედაგოგები (კომპლექსური დავალებების გამოყენებით) ხელს უწყობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლეებში, ჩანს რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას სასწავლო სტრატეგიების შესახებ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია, რაც პროცედურული ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. კომპლექსურ ბუნების დავალებაზე დაფუძნებული კურიკულუმები მოსწავლეებს საინტერესო კონტექსტებს და დავალების პირობებს სთავაზობს, რომლებიც ცოდნის მოქმედებში გადატანას მოითხოვს. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საკითხების სიღრმისეულად გააზრებისათვის სწავლების პროცესი დაფუძნებულია დეკლარაციული, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

5. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალების იდეები. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი კონტექსტ-მაგალითები და თემატურ მატრიცებში მოცემული აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ისეა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები, საშუალო საფეხური
- მასწავლებლის ანგარიშები
- კომპლექსური დავალებები
- სკოლის თვითშეფასება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---
---

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაფუძნებული არის გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილი არის სავალდებულო თემებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში მოცემული არის ქვეცნებები, რომლებიც მიემართება თემატურ კონტექსტს და გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან. იგივე შეიძლება ითქვას წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე: ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეესაბამება საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტს, ეყრდნობა სამიზნე ცნებებს და მკვიდრ წარმოდგენებს.
საგნობრივი კურიკულუმის მთავარი ორიენტირი არის სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები შუალედური მიზნები არის, რომლებიც გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში ეხმარება მასწავლებლებს. სამიზნე ცნებებსა და მკვიდრს წარმოდგენებზე დაყრდნობით არის შემუშავებული შეფასების რუბრიკებიც.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები საგნობრივი საკითხების შერჩევისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. ეყრდნობიან განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზს კათედრებზე, აგრეთვე დიაგნოსტიკური კვლევებითა და დაკვირვებით მიღებულ ინფორმაციას. მათ გააზრებული აქვთ, რომ შეთავაზებულ კურიკულუმში საგნობრივი საკითხები იმგვარად უნდა შეირჩეს, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ცნობიერებისა და თვითრეგულაციის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: „რა გამოგივიდა კარგად? რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? და ა.შ. ეს ეხმარება მოსწავლეს, მართოს საკუთარი ემოციები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვების მიმართ, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები და დაისახოს რეალური, მიღწევადი მიზნები.

ინდიკატორი 2.2.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში, კათედრის მიერ წარმოდგენილი არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც პედაგოგებს ეხმარებათ მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის განსაზღვრაში საგნობრივ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და აზუსტებს მოსწავლესთან მიმართებაში არსებულ მოლოდინებს. რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარების სხვადასხვა გარემოებებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა და გამოცდილება, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენოს, როგორც ჰოლისტური განვითარების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4. საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ხდება ცხადი, პედაგოგები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნული არის, რომ შეფასება უნდა იყოს ობიექტური და სანდო. იმავე დოკუმენტში ხაზგასმული არის, რომ მოსწავლემ კონკრეტულ საგანში უნდა იცოდეს რას მოელიან მისგან და რა კრიტერიუმებით აფასებენ მის ცოდნას. წარმოდგენილი შეფასების სქემები არის მკაფიო და ცალსახა, არ არის ორაზროვანი და არ იწვევს ორაზროვნებას შეფასების პროცესში. ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ ცოდნა და პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით და მზად არიან განაგრძონ მუშაობა ამ მიმართულებით.

ინდიკატორი 2.2.2.4 სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა დავალების/აქტივობის შეფასების რუბრიკებს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

საშუალო საფეხურის კლასებისათვის. სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა პორტფოლიოს შეფასება, რომელსაც აფასებს დამრიგებელი წინასწარ გაწერილი კრიტერიუმებით სასწავლი წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე და მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს. სკოლაში მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს მათი შედეგების საფუძველზე კათედრის შეხვედრებზე.

ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტს შეესაბამება

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით დამოწმებული შფასებასთან დაკავშირებული მონაცემები ინახება კანონმდებლობის დაცვით სკოლაში. ასევე ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები. შეფასებები განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაცულია ოქმებში. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სტანდარტს შეესაბამება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

- საშალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმების ჩარჩო

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, სასწავლო პროცესში შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო. მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, ჩანს გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდურობა. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე იგეგმება ისეთ აქტივობები, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ჩაერთონ თანამშრომლობით სამუშაოებში, სადაც მათი ინიციატივები იქნება დაფასებული და წახალისებული. ამის მტკიცებულებაა პროექტები, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების სამივე რგოლი. მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლა ზრუნავს აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა მიღწევებზე და მათ წარმატებებზე. აძლევენ მათ რჩევებს და ერთად გეგმავენ შედეგების გაუმჯობესების გზებს ცდილობენ წაახალისონ მათი ქცევა, ესენია; მხარდაჭერა, ერთმანეთზე ზრუნვა, თანადგომა, პასუხისმგებლობა, ურთიერთდახმარება. **ინდიკატორი 2.2.3.1 სტანდარტს შეესაბამება**

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ მოსწავლე ამ პროცესების აქტიური მონაწილეა. განვლილი პროცესებში გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით ხდება: რა ფაქტორები უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რა ფაქტორები უწყობდა / უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. აღნიშნულ მასალიდან ჩანს, რომ მოსწავლის ჩართულობა პროცესებში სკოლის განსაკუთრებული ინტერესის საგანია და ხელშემწყობ ღონისძიებებს ახორციელებს, ასევე წახალისებულია მისი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა ამკვიდრებს პრაქტიკას, რომლის მიხედვით მოსწავლის ჩართულობის ანალიზის შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლებას, რომელიც მათ ასაკობრივ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე იქნება მორგებული. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას.

ინდიკატორი 2.2.3.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რისი საუკეთესო პრაქტიკა ასევე პროექტული სწავლება და ერთობლივად დაგეგმილ აქტივობებში ჩართულობაა. ასევე კლასგარეშე ღონისძიებებში მონაწილეობაც თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფაა. ამ თვალსაზრისით საგანში წარმოდგენილია მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მიმართულებით ტექნოლოგიის ინტეგრირება გაკვეთილის „მოცეკვავე ჩიტების“ წარმოდგენისას. მნიშვნელოვნად იკითხება დამრიგებლის თანამშრომლობა მოსწავლეთა საგნობრივი კომპეტენციის დაძლევის მიზნით, რაც სადამრიგებლო მუშაობის ანგარიშებით დასტურდება.

ინდიკატორი 2.2.3.3 სტანდარტს შეესაბამება

4. საშუალო საფეხურის კათედრას გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. საშუალო საფეხურზე პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში; სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. სკოლა საუბრობს, რომ შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს სკოლის შინაგანაწესი. სკოლის რეალობაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო თუ საკლასო გარემო. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, როგორც კომპლექსური, სასწავლო პროცესის ყოველდღიური მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც სამოქმედო გეგმით დაგეგმილ მიდგომებში იკითხება.

ინდიკატორი 2.2.3.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023–2024 წლია სასკოლო გეგმა;
- მასწავლებლის (სამოქმედო გეგმა) და დამრიგებლის პორტფოლიო,
- „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი“,
- მოწვეული სპეციალისტის ლექცია ინფორმაციის დაცვაზე და ჯანმრთელ კვებაზე, ძალადობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- კათედრის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლას აქვს სასკლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანერგვის პროცესების შესწავლას/სასკოლო კურიკულუმის განვითარებას. კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ნაწილია. მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს მეთოდოლოგიური ჩარჩო/გეგმით. წამოდგენილია მიზანი, მონაცემთა შეგროვება–ანალიზი და შედეგების ასახვის პროცესები. ხორციელდება მონიტორინგის შედეგების კვლევა წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე; ცვლილებების განხორციელება შეფასებისა და მონიტორინგის საფუძველზე; შეფასების ინდიკატორების საფუძველია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სკოლის შიდა რეგულაციები; მონაცემების შეგროვების მეთოდებია: კითხვარები, დოკუმენტაციის ანალიზი, პორტფოლიოები, გამოკითხვა, სასკოლო თემის ჩართულობა/ინიციატივები, მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზები, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, ინტერვიუები, სოციალური ქსელების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს პრაქტიკა პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები. მონტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, საშუალო საფეხურზე შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას კურიკულუმში და ეს ყველაფერი საფუძველი გახდეს განვითარებად სასკოლო ცხოვრებისა ჯანსაღ სასწავლო პროცესებში.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი,
- მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია,
- კათედრის ოქმი #2
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არის კათედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის სრულყოფის, სასკოლო კულტურის განვითარების. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში დასკვნის ვალიდაციას უზრუნველყოფს. სკოლის მცირეკონტიგენტი კი ხელს უწყობს შეფასებაში კონტექსტის ჩართვას და ეფექტურად გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. ვალიდურობა უზრუნველყოფილია მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწვალის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით/მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლაში გამოიყენება კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, პორტფოლიოების შეფასება; მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზები, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, ინტერვიუები, სოციალური ქსელების ანალიზი და სხვა, რაც უზრუნველყოფს შეფასევბისათვის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა ქმედითად ხედავს შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საჭიროებას: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ამ თვალსაზრისით აანალიზებს, შეფასებისას საშუალო საფეხურზე რამდენად გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: ხედვის პერსპექტივა; მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა საშუალებაა მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების, მისი სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირების და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა.

ინდიკატორი 2.3.1.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და განხორციელებული შეფასების ანალიზი
- სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია
- პორტფოლიოს შეფასების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნული არის, რომ ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით კათედრები აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. <u>**რჩევის სახით სასურველია, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს მიეცეს ცალკე არსებული დოკუმენტის სახე, სადაც დროში გაიწერება გამოვლენილი რეფლექსიური მიგნებები და მათზე პასუხისმგებელი პირები.**</u>

ინდიკატორი 2.4.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და შექმნილი აქვს რევიზირებული ვერსია, რაც ინერგება მიმდინარე სასწავლო წელს. ფაქტია, რომ სკოლა აცნობიერებს სამოქმედო გეგმისა და კურიკულუმის დანერგვის პროცესის მუდმივი ინტერაქციის საჭიროებას, რაც მოსწავლეთა შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებულ პროცესების რეფლექსიებს, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს ეყრდნობა. შესაბამისად, სკოლა ციკლურად გეგმავს ცვლილებებს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში კლასის/საფეხურის დონეზე.

ინდიკატორი 2.4.1.2 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. სტანდარტ N1
2. სტანდარტი N2
3. სტანდარტი N 3
4. სტანდარტი N4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---





თარიღი 4.06.2024წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---